№ 96
მაისის 8, ოთხშაბათი, 1902 წ.

1877 **ივერია** 1902

№ 96
მაისის 8, ოთხშაბათი, 1902 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

აზნაურნი ვასილ, ერმალოზ და მღვდელი ლუკა ხუნდაძენი დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას ქალაქ ოზურგეთში ძვირფასის მამის

სოფრომ ვასილის ძის ხუნდაძისას

გარდაცვალებულის გვამის დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს, ცხრა მაისისათვის, დღით. ოზურგეთიდგან წაასვენებენ სოფელ საჯაოხოში ჩომეთის ეკკლესიაზედ.
(1—343—1).

რახაილ ნიკოლოზის ასული აბაშიძისა, გიორგი და რაფაელ აბაშიძეები გულითადის მწუხარებით აუწყებენ რა გარდაცვალებას პირველი საყვარელის მეუღლისას, ხოლო უკანასკნელნი საყვარელის ძმის ნადვორნი სოვეტნიკის

მიხეილ დიმიტრის ძის აბაშიძისას

უმორჩილესად სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ დაესწრნენ გარდაცვალებულის გასვენებას ამ მდგომარე წლის 9 მაისს, სოფ. როკითში და მით ანუგეშონ დამწუხარებული ქირისუფალნი.
(2—ნ.—1).

პირველ მაისიდგან წლის დამლევამდე გაზეთი
„ივერია“
ღირს შვიდ მანეთად და ხუთ შაურად (7 მ. 25 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში: მ. ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში).
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში და **ბათუმში** ს. ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверіа“. ტელეფონი № 227.

გაზეთი „ივერია“,
რომლის გამომცემელია დღეს თ. ი. გ. ჭავჭავაძე,

გადადის საკუთრებად **„ივერიის“** ამხანაგობის ხელში.

ამხანაგობამ უფლება ამ გაზეთის გამოცემისა შეიძინა ნოტარიუსის წესით დამტკიცებულ ხელ-შეკრულობით 6 აპრილს 1902 წ.

ამხანაგობაში მონაწილეობას იღებენ: თ. ამირეჯიბი, როსებ თადეოზის-ძე, დოქტორი ვაწაძე, სპირიდონ იოსების-ძე, დოქტორი გაბაშვილი, დიმიტრი გრიგოლის-ძე, ლოლობერიძე, ნიკოლოზ ბესარიონის-ძე, გოგებაშვილი იაკობ სვიმონის-ძე, გძელიშვილი გიორგი ივანეს-ძე, გუნცაძე ირაკლი ალექსანდრეს-ძე, თ. დიასამიძე, გრიგოლ ნიკოლოზის-ძე, ჯაბადარი, ივანე სპირიდონის ძე, მესხი, კონსტანტინე დავითის-ძე, მიქაბერიძე, ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე, სარაჯიშვილი, ალექსანდრე ივანეს-ძე, დოქტორი ჩიქოვანი, ყარამან მანუჩარის-ძე და ყიფშიძე, გრიგოლ თეოდორეს ძე.

ამხანაგობის თანხა განსაზღვრულია 15,000 მან., განყოფილი 1,500 პაით, 10 მან. თითო პაი.

ვისაც სურს შეიძინოს პაი, კეთილ-ინებოს და მიჰმართოს „ივერიის“ რედაქციას, რომელიც ამ წლის 1 მაისიდგან მოთავსებული იქნება სასახლის ქუჩაზედ, თავად აზნაურობის ქარვასლაში, №№ 117 და 118.

ამხანაგობის საზოგადო კრებაზედ ხმა აქვს მხოლოდ იმას, ვინც შეიძენს არა ნაკლებ ათის პაისა.

რედაქციაში შეიძლება მსურველმა მიიღოს ეგზემპლიარი ხელ-შეკრულობისა.
(10—6)

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობის წლიური საზოგადო კრება გადიდება ხუთ მაისის, დღით კვირის, დილის ათი საათისათვის.

ამხ. მმარ. ნ. წერეთელი.
(6—ნ.—6)

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 9 მაისს, 1902 წ.
ქართულ დრამატიულ დასის-მიერ
გამართული იქნება
ვლ. ალექსი-მესხიშვილის
მონაწილეობით უკანასკნელი წარმოდგენა

სამშობლო

დრამა 5 მოქმედ. გად. თ. დ. ერისთავის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი კარგარეთელი, ზივიშვილი, რჩეულოვისა. ბ-ნნი ალექ.-მესხიშვილი, გუნია, სვიმონიძე, შათირიშვილი, ივანიძე, იმედაშვილი, რომანიშვილი, საფაროვი და სხვ.

დასაწყისი $8^1/_2$ საათზედ. ფასები ჩვეულებრივია.

რეჟისორი ვ. გუნია.

გურიის სავაჭრო-სამრეწველო ამხანაგობის „შუამავალის“

განახლებული გამგეობა ამავე ამხანაგობის სარევიზიო კომისიასთან ერთად აუწყებს ამხანაგობის ბ.-ბ. მოწილეთ, რომ ამ მაისის 12, კვირას, დილის 10 საათზე, **დ. ლანჩხუთში,** ადგილობრივი სკოლის დარბაზში დანიშნულია ამხანაგობის წევრთა საზოგადო არა ჩვეულებრივი კრება. კრების განსახილველი საგნებია: 1) მიღება ამხანაგობის ახალ ხელ-შეკრულობისა, რომელიც შედგენილია ძველ საფუძველზე 19 აპრილს შემდგარ ამხანაგობის წევრთა კრების მიერ შეტანილი მცირეოდენის ცვლილებით. 2) ამხანაგობის ყოფილი გამგის ბ. **სოლომონ ალექსანდრეს ძის ჭეიშვილის** თვითნებურ და ამხანაგობისათვის საზარალო მოქმედების განხილვა და მსჯავრის დადება. 3) **ოც მანეთიან** წილის ბარათის (პაი) **ათ მანეთიანად** შეცვლა. 4) წრევანდელ ოპერაციის დასაწყებათ თადარიგის დაჭერა და საშუალების გამოძებნა და 5) მიღება და დამტკიცება წარსულის წლის 16 დეკემბერს ოზურგეთში შემდგარ კრებაზე სარევიზიო კომისიის მიერ წარმოდგენილ ამხანაგობის წლიურ ანგარიშისა, უკეთუ ყოფილი გამგე ჩააბარებს ახალ გამგეს ხსენებულ ანგარიშს.

ამხანაგობის გამგე იოსებ ღ. ქუთათელაძე.

გამგეობის წევრნი: 1 ვ. კანდელაკი, 2 ს. ვაშალომიძე.

სარევიზიო კომისიის წევრნი: 1 თ. კიკვაძე, 2 ნ. მხეიძე, 3 გრ. ურატაძე, 4 მღ. ღ. იმნაიშვილი, 5 ნ. გეგელაშვილი, 6 ს. ვაშაყმაძე.
(2—ნ.—1)

ქართველ ქალთა
ამხანაგობა.

სამკერვალოსა და სახელოსნო სკოლაში იღებს ყოველ-გვარ საკერავს: კაბებს, თეთრეულს, ქარგვას და საცვლებზედ ამოჰკრავენ ნიშნებს (**мѣтки**). ბარონის ქუჩა № 12.
(5—უ.—5)

ექიმი
ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე საექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.
ჟ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
ზ. ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.
ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა, და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. პ. ქარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ქ. ი. გძელიშვილი. 5—6 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.
ა. ნ. შაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.
გ. ა. თარხანოვი. $7—7^1/_2$ საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.
ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2—8$ ს.
ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасардіанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон. (წლ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები
კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.
მ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა 9—10 საათამდე, ხუთშაბათს და შაბათს გარდა.
ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.
გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.
ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.
ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.
ვ. დ. ლამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.
ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.
დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 საათ.
ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.
სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.
გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.
ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

ტფილისი, 1902 წ., მაისის 8.

ტფილისის ყოველ-დღიური სომხური გაზეთები, რომლებიც, როგორც „ცნობის ფურცელი“ ბრძანებს, „რუსულ სიტყვებით იბეჭდება“, და თვითონ „ცნობის ფურცელი“ გასაოცარ ამბავს მოგვითხრობენ: თურმე ამას წინად ჩვენს დედა ქალაქში ცხვრებს მგლები დაუჭერიათ. ეს კიდევ არაფერი; თურმე უღონო ცხვრებს წარმოადგენდა რუს-ქართველობა და ღონიერ მგლებს—სომხობა.

რა ამბავია? მოგახსენებთ.

სტუდენტობის არა სასურველმა მდგომარეობამ მთელ რუსეთის განათლებულ საზოგადოების გული და სული მიიზიდა და ყველას ვალად მიაჩნია მდგომარეობა ახალგაზდობას რითიმე გაუუმჯობესოს.

ამ კანონიერ განზრახვით რუსეთის თითქმის ყველა კუთხეში დაარსდა „სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოება“. ჩვენმა ყველაში დაქვეითებულმა საზოგადოებამაც მოინდომა ამ გვარისავე საზოგადოების დაარსება. მაშასადამე, ამ საქმეში თაოსნობა ეკუთვნის რუსეთის საზოგადოებას და ტფილისის საზოგადოებამ მხოლოდ იმას მიჰბაძა.

როგორც ჩვეულებაა, დანიშნულს დღეს თავიანთ ნებით შეიკრიბნენ ახალ საზოგადოების დაფუძნების მსურველნი და ამ კრებაზედ ამოირჩიეს საზოგადოების გამგეობა. კრებას დასწრებიან სხვა-და-სხვა ტომის წარმომადგენელნი, მათ შორის დაახლოვებით ერთი მესამედი კრებისა რუსები ყოფილა, ერთი მესამედი—ქართველები და ერთიც—სომხები. რადგანაც ტფილისის არჩევანებში რუსები და ქართველები, თავიანთ უზრუნველობით, თითქმის გამორჩეულნი არიან, რუსებმა და ქართველებმა ერთი ერთმანეთს უნებლიედ მისცეს მხარი და ამ გვარად ორმა წილმა ერთ წილს აჯობა.

მერე? მერე ის, რომ არჩევნებში ყოველთვის სხვა დროს დამარცხებულმა რუს-ქართველობამ ერთად-ერთხელ გაიმარჯვა და თვითონვე გაუკვირდა. გაუკვირდა, მაგრამ-კი არ გაუხარდა, იმიტომ რომ სომხების გაშავების განზრახვა არავის არა ჰქონდა, არც რუსსა და არც ქართველსა.

არა, ვთქვათ, განზრახვაცა ჰქონდათ; მერე, რა არის აქ სასაყვედურო? ფაფით შეშინებული—დოს უბერავდაო,—ხომ გაგიგონიათ?!

საყვედურზედ ნუ მიდგება საქმე, თორემ რუს-ქართველობის საყვედურს მთელი სომხობის მოსარჩლენი ვერ აუვლენ. თქვე დალოცვილებო, ერთმა ქალაქი ააშენა, მის დაცვაში თავისი სისხლი დაანთხია, მეორემ სისხლ-დანთხეულს მიეშველა; ამ დროს საიდღამაც გამოტყვრა მესამე, ორივეს წიხლი ჰკრა და ქალაქის მებატონეთ გამოიჭიმა. განა, ეს ამბავი მოსაშორებელი ჭირი არ არის? მაშ, ამ ჭირს რაღათა ჰმალავთ? ან ვის უმალავთ? ხომ იცით, კაცმა ჭირი მალაო, ჭირმა თავი არ დამალაო! ჭირსა შიგან მყოფნი, ჩვენ მაინც კიდევ არავის ვესაყვედურებით, გარდა ჩვენის თავისა, ჩვენის უზრუნველობისა, ჩვენის დაუდევნელობისა და დღეს ჩვენ მხოლოდ ჭირსა შიგან გამაგრება გვმართებს.

სომხების გაშავება დონკიხოტობა და უგუნურობააო. რათა? იმიტომ, რომ რუს-ქართველობა ღატაკია და სომხები შეძლებულები არიანო. ღმერთმა მისცეთ, მაგრამ სომხების დიდი შეძლება სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობის ამორჩევაში რა შუაშია? ბატონებო, მე რომ ღატაკი ვიყო და სტუდენტებისათვის ერთი გროშის შეწირვის მეტი არ შემეძლოს, ნუ-თუ მხოლოდ იმისათვის არ უნდა ამომირჩიონ გამგეობაში, რომ მეტი არა მაქვს? ეს რა სამართალია? მე უკანასკნელი გროში შევწირე და მდიდარმა თავის მოჭარბებულ ქონებიდგან—ასი; ჩემისთანა ღატაკი ტფილისში ათასია, მდიდარი-კი ათასში ერთია. წადით ეხლა და გამოიანგარიშეთ, ვინ უფრო ბევრს შესწირავს, ათასი ღატაკი, თუ ერთი მდიდარი?

განა, ყოველივე ესე, რაც ზემოდ მკითხველს მოვახსენეთ, ტფილისის გაზეთებს არ ესმით? ძალიან კარგად ესმით, მაგრამ, როდესაც კაცს გულში ეშმაკობა უდევს, მსმენელს მისი ლაპარაკი გაუგებარ რახა-რუხათ მიაჩნია, ვიდრე ეშმაკი კუდს არ გამოჰყოფს.

ჩვენმა „ცნობის ფურცელმა“ თავის სომხურ გაზეთებით, რომელნიც, იმისავე თქმით, „რუსული სიტყვებით იბეჭდება“, დღეს თავისი კუდი გამოჰყო და ეშმაკურის გულის ტკივილით დასწამა ქართველობას: „ეროვნულ თავმოყვარეობის შეჯახება, ფუჭი და უგუნური მოსაზრება“.

ეს კუდი რომ წარჩინებულ ჟო[...] რომელსაც „ცნობის ფურცელი“, სი[...] და არა საქმით, დიდს თაყვანსა სცემს, ს[...] ეჭიროს, მალე მტერი მოგიკვდეთ, მალე კუდით ქვა ასროლინოს „ცნობის ფურცლის“ ეშმაკობას და ჩვენ-კი, როგორც უძალ-ღონო და დავარდნილი ხალხი, აბა, ამ ეშმაკობასთან რას გავხდებით? ჩვენ მხოლოდ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჟორესი კუდიან ეშმაკებს ეტყოდა: ყოველი ხალხის ნამდვილი წარმომადგენელი ღატაკია და არა მდიდარი, რადგანაც მისი სიმდიდრე ღატაკის ოფლი და ნაშრომია—და ამისათვის რუს-ქართველობის ამორჩევა სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოების გამგეობაში, არამც თუ უგუნურობაა, არამედ ყოველის მხრივ კანონიერი მოვლენაა.

ზემოდ აღნიშნული ეშმაკობა, ჩვენდა საუბედუროდ, დღეს ძალიან გავრცელებულია. სასოწარკვეთილმა, მშიერმა რომ დაიყვიროს, მიშველეთ შიმშილითა ვკვდებით, მაშინვე პირში ბურთს ჩასჩრიან და ეტყვიან, ნუ ჰყვირი, თორემ შენი ყვირილი მაძღართა და მშიერთა შეტაკებას გამოიწვევსო; უცხო კაცმა რომ შინაური სახლიდგან გაისტუმროს, და ბინიდგან გაგდებულმა კაცმა მაღლა ხმით ჩივილი დაიწყოს, დღევანდელი კუდიანი ეშმაკები შინიდგან გაგდებულს კაცს დარიგებას მისცემენ, ნუ სჩივი, თორემ ეროვნული შეჯახება მოხდებაო.

ამგვარ ეშმაკობის აზრი ყველასათვის ცხადია. ჩვენთვის მხოლოდ საჭიროა ყოველთვის სახეში ვიქონიოთ რასა და ვის ემსახურება ეს ეშმაკური ქადაგება.

მუდამ სიმდიდრის თაყვანის მცემელნი, მუდამ კუდის ქნევას დაჩვეულნი, ზემოხსენებულ გაზეთების პირველნი მოძახილნი გაიკეთებენ თავიანთ ჭუჭყიან ხელებზედ თეთრს ხელთათმანებს და ჰგონიათ, რომ გარეგანის სიფაქიზით ვისმე თვალებს აუბამ[...] მაგრამ, ვიცით თქვენი ეშმაკობა: თეთრი კბილი, შავი გული.

დროა ეშმაკურს განზრახვებს თავი დავანებოთ, სჯობს ჩვენი რწმენა, ჩვენი ნამდვილი განზრახვა ყოველთვის საქვეყნოდ ვაღიაროთ და მისს აღსრულებაში სული დავლიოთ.

შემოწირულება

„წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ სასარგებლოდ განზრახულ ბაზრობას შემოსწირეს:

კნ. რუსუდან დიმიტრის ასულმა მელიქიშვილისამ—ძვირფასი ნივთები, ხუთ მანეთად დირებული, ბ-ნმა კაცმა—საათის ძეწკვები, ოთხ მანეთად დირებული.

ტფილისი

✦ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობამ 6 მაისის მორიგ სხდომაზე დაადგინა სოფ. წევაში (შორაპ. მაზრა) დააარსოს წიგნთ-საცავ-სამკითხველო. გამგეობა ამ დადგენილების სისრულეში მოსაყვანად შუამდგომლობს სათანადო მთავრობის წინაშე.

✦ ამავე საზოგადოების გამგეობამ 5 მაისს დაადგინა საზოგადოების ხარჯით გამოსცეს ქართულად ბ-ნის ლუნკევიჩის ორი წიგნაკი: „ცა და ვარსკვლავები“ და „მცენარეთა სამეფო“ სურათებით.

✦ პირველ ნაწილის საარჩევნო კომიტეტმა უკვე შეადგინა კანდიდატთა სია. ქართველი სულ 14-ია. აი მათი გვარები: თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი, თავ. ა. ზ. ჩოლოყაშვილი, ვ. დ. თულაშვილი, გ. ბ. საყვარელიძე, ი. გ. რატიშვილი, ი. დ. უთნელიშვილი, თავ. ვ. ს. მიქელაძე, ა. გ. ჯაბადარი, თავ. გრ. ნ. დისამიძე, ვ. დ. გაბაშვილი, ექიმი გ. დ. გაბაშვილი, თავ. ი. ბარათაშვილი, ნიკ. ალექსი-მესხიშვილი და თავ. როსებ ამირეჯიბი.

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობას აზრადა აქვს საკუთარი შენობა აავოს რკინის გზის სასწავლებლისათვის. გზათა უფროსს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ამ საქმისათვის 120 ათასი მანეთი იქმნას გადადებული.

✦ ბ-ნ ვალერიან გუნიას შუამდგომლობა აღუძრავს ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობის წინაშე, რომ ამ საზოგადოებამ თავის ხარჯით გამოსცეს იმის მიერ შედგენილი: „საქართველოს კალენდარი“. ბ-ნი გუნია თავის სასარგებლოდ წმინდა მოგების ნახევარსა თხოულობს.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ შეადგინა და წარუდგინა გუბერნატორს იმ ამომრჩეველთა სიები, რომელთაც არჩევნებში მონაწილეობის ცენზი აქვთ. როგორც ამ სიებიდგანა სჩანს, პირველ საარჩევნო ნაწილში (1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილები) სულ 1,096 ამომრჩეველია; ამათ უნდა აარჩიონ 27 ხმოსანი და 5 კანდიდატი; მეორე საარჩევნო ნაწილში (5, 6 და 7 საპოლიციო ნაწილები)—938 ამომრჩეველი, უნდა აარჩიონ 24 ხმოსანი და 5 კანდ. და მესამე საარჩევნო ნაწილში (8, 9 და 10 საპ. ნაწილები)—1,142 ამომრჩეველია; უნდა აარჩიონ 29 ხმოსანი და 6 კანდიდატი.

✦ 1901 წელს ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქს შემოსავალი ჰქონდა 1.785,121 მან. ამავე წელს ხარჯი იყო 747,671 მანეთი, ასე რომ წმინდა მოგება ხაზინას 1.037,450 მანეთი დარჩა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა მისწერა ქალაქის მოურავის მოადგილეს სისრულეში არ მოიყვანოს ქალაქის საბჭოს ორი გარდაწყვეტილება. ერთი შეეხება გამგეობის მეოთხე წევრის არჩევას, მეორე იმას, რომ დაზარალებულ შემახელთ ქალაქის მიწები დაეთმოთ სახლების ასაგებად.

✦ 5 მაისს ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურთა კრება კიდევ არ შესდგა. ხელ-ახალი კრება დაინიშნა 9 მაისისათვის.

✦ სასულიერო მთავრობა მთა-წმინდაში აგებს ეკკლესია-სკოლას.

✦ ამ ზაფხულს სამოსწავლო ოლქის მზრუნველის განკარგულებით ვაჟთა საშუალო სკოლების აღმზრდელნი სააგარაკო ადგილებში იქმნებიან გაგზავნილნი, რათა იქ თვალყური ადევნონ მოსწავლეთა ყოფა-ქცევას.

✦ კვირას, 5 მაისს, სათავად-აზნაურო თეატრის ფოიეში მოხდა სამარხ კასის დამფუძნებელთა კრება ივ. როსტომაშვილის თავმჯდომარეობით. კრებას დაესწრნენ წევრობის მსურველნიც, მაგრამ მათ ნება არ ჰქონდათ არც ხმისა და არც გამგეობის წევრებად ამორჩევისა. გამგეობის წევრებად არჩეულ იქმნენ: შიო ქუჩუკაშვილი, ივ. როსტომაშვილი და იოს. მერკვილაძე; ამათ კანდიდატებად სოფ. მგალობლიშვილი, ალ. დავითიშვილი და ანდრია ღულაძე; სარევიზიო კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: ს. ჩიქოვანი, დ. მაჭავარიანი და დ. ძნელაძე, ხოლო მათ კანდიდატებათ—გ. ყიფშიძე, ა. მიქაბერიძე და დ. მღებრიშვილი. გამგეობა უკვე შეუდგა საქმეს და 6 მაისიდან დაიწყო წევრების მიღება. მსურველთ უნდა მიჰმართონ წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში შ. ქუჩუკაშვილს. ახალმა წევრმა ჩაწერისათანავე უნდა შეიტანოს 3 მან. 25 კ.

✦ ზოლკოვსკი ტროფიმოვი დანიშნულ იქმნა მთავარ-მართებლის კანცელარიის დირექტორის თანაშემწეობის აღმასრულებლად.

✦ რედაქციამ მიიღო მეხუთე ნომერი „მოგზაურისა“ და ამ ჟურნალის დამატება „გამოსადეგი ცნობანი“.

✦ როგორც გაზ. „მშაკ“-ი გადმოგვცემს, გამოსულა დღეს ახალი თხზულება სომხურად, „იოსებ კათალიკოსი არღუთაშვილი“. წიგნი შეიცავს 232 გვერდსა და ჩართული აქვს 4 სურათი. ეს არღუთაშვილი იყო საქართველოს თავადიშვილი, მეფის გიორგის XIII მეგობრობით სრულიად სომხეთა პატრიარქ-კათალიკოსად დამტკიცებული წინააღმდეგ კონსტანტინოპოლის სომხეთა პატრიარქის დაჩაგვრისა, რომელიც ხმათა უმეტესობით არჩეულ იქმნა, და დიდი მომხრე საქართველოს რუსეთთან შეერთებისა, მაგრამ დარეჯან დედოფლისა და მის მომხრეთათვის მეტად საეჭვო და საშიში კაცი, რომელსაც კიდეც შური უგო, როგორც ამბობენ, დიდების მოყვარე დედოფალმა მით, რომ მოაწამლინა სამეფო აბანოში მიწვევით, რის შემდეგ კიდეც გარდაიცვალა, ეჩმიაძინის საყდრის უხილველად.

საქართველოს ამბები

ქუთაისის ქალაქის ხმოსანთა არჩევანები, როგორც შევიტყეთ, მოხდება ივლისის პირველ რიცხვებში.

—

შუამდგომლობაა აღძრული უწმ. სინოდის წინაშე იმის შესახებ, რომ იმ სკოლების მასწავლებელთა თანაშემწეების ჯამაგირებისათვის, სადაც ოთხის წლის კურსი იქნება შემოღებული, გადადებულ იქმნას 7,500 მანეთი. მასწავლებლის თანაშემწეს ხაზინიდგან მიეცემა 100 მანეთი, დანარჩენი ადგილობრივ ხარჯიდგან უნდა მიეცეს. ამავე საბჭომ შუამდგომლობა აღძრა 2,400 მანეთის გადადების შესახებ. ამ ფულით ქართული სამოსწავლო წიგნები იქმნება შეძენილი სკოლებისათვის.

—

საეპარქიო საბჭომ 300 მანეთი გადასდო ტირძნისის მეორე-კლასიან სკოლის სასოფლო მეურნეობის საჭიროებათათვის.

ამავე სკოლაში გალობის მასწავლებელი იქმნა დანიშნული, რომელსაც 300 მანეთი აქვს წელიწადში ჯამაგირი.

ტირძნისისავე სკოლაში 25 სტიპენდია იქმნა დაწესებული. ამისათვის საბჭომ 1,000 მანეთი გადასდო.

—

✕ ქართლ-კახეთის საეპარქიო საბჭო ამას წინად ხე-ტყესა და ფულს (სულ 700 მან.) დაჰპირდა სიღნაღის მაზრის სოფელ ანაგის სოფლის საზოგადოებას, თუ იგი სკოლისათვის შენობას აავებს. ეხლა საბჭომ აცნობა საზოგადოებას, რომ თუ იგი დროებით სკოლის შენობას არ ააგებს, ფული და ხე-ტყე კარდანახის, ბოდბის ან საქობოს სოფლის საზოგადოებას გარდაეცემა.

—

საეპარქიო საბჭომ სინოდის სასწავლებელთა საბჭოს წინაშე შუამდგომლობა აღძრა იმის შესახებ, რომ 342 მანეთი იქმნას გადადებული მცხეთის ეკკლესიის სკოლის შესაკეთებლად.

—

დაარსებულ იქმნა ადგილობრივის ხარჯით სამრევლო სკოლა გორის მაზრის სოფ. ერკოთში.

—

ქუთაისი (ბანკის საქმეები). წარსულ კვირას ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობა თავისს ტფილელ თანამოძმეებივით საგანგებო კრებაზე იყო მიწვეული. განსახილველ საქმეთა შორის პირველი ადგილი ასის წლის იუბილეს გამო უმაღლესად ბოძებულ ფულს—20,000 მან. მოხმარების საკითხი იყო. ეს საკითხი კი ხანია საბაასო საგნად არის გამხდარი, როგორც პრესაში, ისე მის გარეშე, როგორც ლაზათ იქითურებში, ისე აქეთურებშიაც, როგორც კომისიებში, ისე ცალკ-ცალკე, მაგრამ მისი გადაწყვეტა ჯერაც ვერ დაბოლოვებულა.

ამ საგნის შესახებ იქაც და აქაც უმთავრესად ორი აზრი ტრიალებს: ამ ფულით ან სასწავლებელი (ყველა სხვა-და-სხვა ტიპისას გვირჩევს) დაგვაარსოთ, ან კიდევ სტიპენდიებად დავარიგოთ უმაღლეს, საშუალო და დაბალ სასწავლებლებშიო. კიდევ კარგი, რომ ამ ფულის განაწილების აზრა სწავლა-განათლებაზე მოხმარებათა შემოფარგლული, თორემ ჩვენში რამდენი თავად-აზნაურთა თავია, იმდენი აზრი, თუ აზრუკები დაიბადებოდა და ათასის კომისიების დანიშნვაც ვერ მოუყრიდა თავს და ვერ გააერთიანებდა ყველას სურვილს...

ქუთაისის გუბ. თავად-აზნაურთა საკანგებო კრებაზედაც ამ ფულის მოხმარების პროექტი ბევრნაირი აღმოჩნდა. გუბერნიის მარშლის თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას უკვე შეემუშავებინა პროექტი, ნოვგოროდში არსებულ ინსტიტუტის მსგავსი ტიპი სასწავლებლისა, რომელიც თავისის ორგანიზაციით ისე რთულია, განსახლებს კომისიის წევრებმა, რომ მისი მოკლედ დახასიათება ძალიან ძნელიათ. რადგან ერთმხრივ თავადზნობაში შემდგენელთაც-კი ვერ ჰპოვეს რთულის შესრულება, რომ თავისთავი ნაწრთმა კრებისათვის გაეცნოთ, შემდეგ ერთმა წევრთაგანმა იკისრა ამის შესრულება და გააცნო ქართულად კრებას. აღმოჩნდა, რომ ეს ნიკოლოზ II-ს სახელით მონათლული ინსტიტუტი არც მაგრე რთული რამ ყოფილა; მხოლოდ უმთავრეს საგანს, რისთვისაც იგი უნდა დაარსოს დღევანდელ მდგომარეობაში მყოფმა თავად-აზნაურობამ,—აქ ცოტა ადგილი უჭირავს. ეს საგანი-კი გახლავთ ქართული ხასიათი სასწავლებლისა, ქართულის ენის, ისტორიის, ლიტერატურის სწავლის საქმე. ამის თაობაზე აი რა არის პროექტის წინასიტყვაობაში ნათქვამი:

„Считая въ виду мѣстныхъ условій изученія груз. яз. для своихъ дѣтей необходимымъ, дворянство находитъ нужнымъ сдѣлать этотъ языкъ обязательнымъ, положивъ однако на его преподаваніе *самое незначительное число уроковъ, чтобы не измѣнять устанавливаемаго* министерствомъ нар. просвѣщенія *распредѣленія по классамъ общеобразовательныхъ предметовъ*“.

განმარტებაში დამსწრეთ ყურადღება მიიქცია ჩვენის მგოსანის აკაკის მარტივად მოთხრობილმა პროექტმა დედათა სასწავლებლის დაარსებისამ. ეს პროექტი, თვით პოეტის მიერ ნაამბობი, უკვე გაგვაცნობ „ივერიის“ მკითხველებს. გამოითქვა აგრეთვე აზრი სამეურნეო სასწავლებლის დაარსებისა (ბ. ს. ხუნდაძე), მაგრამ დიდი შორსმჭვრეტელობა არ არის საჭირო, რომ ამ ორიოდე გრომით საშუალო სამეურნეო სასწავლებლის დაარსება-კი შეუძლებელია. ამგვარის სასწავლებლებით ხომ მთავრობაც გატაცებულია დღეს და ვისაც იგი ესაჭიროება, არსებულიც ეყოფათ, სხლამც რომ არ მიუმატონ. როგორც ვხედავთ, აქ ადგილობრივი და უცხოეთში განსწავლილი აგრონომები დღეს კანცელარიებისა და უცხოელების მოსამსახურენი შექმნილან. მხოლოდ თითო-ორიოლა-ღა სულის დაფვით, გრომ-გრომობით სდიდობს მამულის გაუმჯობესებას. ეს არის და ეს. მხოლოდ მამულ-დედულის შერჩენის საშუალება სხვაში უნდა ეძიონ, ვისაც სამისოდ გული ეწვის. დასასრულებით ეს აზრი დაეცენა წინ კრებაზე ბ-ნ ხუნდაძის ერთმა უცხოეთში განსწავლილმა აგრონომმაც. ზოგმა (გურია-სამეგრელოს) წარმომადგენლებმა მოითხოვეს ბოძებული ფული მაზრებად დანაწილდეს, რადგან უმთავრესს პუნქტში, ქუთაისში, დაარსებულ სასწავლებლით დანარჩენი მაზრების თავად-აზნაურნი ვერ ისარგებლებენ სიშორის გამოო. აქედან განაწილებულ სტიპენდიებსაც ჩვეულებრივი ნათელი-მამობის ხასიათი მიეცემა და ამრიგად სხვა მაზრებისათვის ესეც უსარგებლო იქნებაო. ამისათვის საჭიროა ყველა მაზრებს დაურიგდეს თავ-თავიანთი წილი და მათი წარმომადგენლები უფრო შესაფერისად მოიხმარებენ ნაწილსაო.

მაინც კიდევ, როგორც ვეტყობით, დასაბოლოვებელი ამაზე დამარცხდა ბ-ნმა კატა ახაშამე, ჩვენ დღეს ამ საკითხის გადაწყვეტისათვის მომზადებულნი არა ვართ და მასალაც ცოტა გვაქვს წარმოდგენილი. საგანი-კი სამეტიოა და ამისათვის საჭიროა კიდევ ერთი ამ საკითხის გადაწყვეტა შემდეგ მორიგ კრებისათვის; ამიგვარად კომისია და მივანდოთ სხვა-და-სხვა პროექტების განხილვა და წარმოდგენა. კრებამაც აღიარა თავისი ამ საგნისათვის მოუმზადებლობა და დასთანხმდა კომისიის ამორჩევას, რომელშიაც ჩარიცხეს ორ-ორი კაცი მაზრიდან, მაზრების წინამძღოლები, სულ 22 კაცი, ამ საქმისათვის გამოსადეგ გარეშე კაცთა მოწვევებით. კრებათა თავმჯდომარე იქნება გუბერნიის მარშალი. აი, ამათ უნდა შეიმუშაონ ორგვარი პროექტი სასწავლებლის დაარსებისა და სტიპენდიებად ამ ფულების მოხმარებისა და წარმოუდგინონ მომავალ ინკენისთვეში მორიგ კრებას.

(დასასრული ხვალ)

ისო.

კავკასია

როგორც გაზეთებს ატყობინებენ, 5 მაისს ტფილისის სამოსამართლო პალატის სესსიას განუხილავს განჯაში საქმე ყაზახის მაზრის უფროსად ყოფილის ბარანოვსკისა და იმის თანაშემწის ბეჟანოვისა, რომელთაც სამსახურის დროს დანაშაულობათა ჩადენა ჰბრალდებოდათ. სასამართლოს დამნაშავედ უცვნია ბრალდებულნი და გადაუწყვეტია ყოველისავე უფლება-უპირატესობის ჩამორთმევა და პატიმართა განყოფილებაში გაგზავნა ბარანოვსკისა ორის, ხოლო ბეჟანოვისა—ერთის წლით.

რუსეთი

საერთო განათლების მინისტრის ამხანაგად დანიშნა საექსპერიმენტალო მეურნეობის ინსტიტუტის დირექტორი ს. ლუკიანოვის დიდად საყურადღებო გარემოებათ მაჩნიათ. თითქმის პირველი მაგალითია, რომ საერთო განათლების მინისტრის თანაშემწედ დაენიშნოთ ნატურალისტი და ბიოლოგი, რომელმაც დიდად განითქვა სახელი მეცნიერებაში. ყველას იმედი აქვს, რომ ლუკიანოვის დანიშვნა საერთო განათლების მინისტრის ამხანაგად იმას მოასწავებს, რომ ბუნების მეტყველების ინტერესები საშუალო და უმაღლეს განათლების განკარგვის საქმეში დავიწყებული არ იქმნება და რომ რეალური ელემენტი საშუალო სკოლებში დირსეულ ადგილს დაიჭერს.

უცხოეთი

წერილი ბულგარიიდგან (ბოლგარია).

(ჩვენის კორესპონდენტისაგან)

წინა წერილში ვამბობდი, ხალხი ყველგან განაირად დაჩაგრულია-მეთქი. დიაღაც, აი ამ ოცდა-ხუთის წლის წინად ბულგარეთის მკვიდრნი იმის ნატვრასა და ცდა-ბრძოლაში იყვნენ, რომ როგორმე ოსმალეთის ბრჭყალებს თავი დავაღწიოთ და თავისუფლება, ეს ყველას გონიერ ცხოვრებისათვის საჭირო საგანი შევიძინოთო. ეხლა-კი ასე გაიძახიან: «ვაი ჩვენს მოსწრებას, ნეტავი, ისევ ოსმალების ხელში ვეთრეოდეთო». არც გასაკვირველია. ბოლგარია პატარა ქვეყანაა, საშ ნახევარმილიონს არ გადასცილდება და ამ ერთმა ნამცეცმა ხალხმა როგორ უნდა მოახერხოს სახელმწიფოს შენახვა, თუ დიდი გადასახადი თავს არ დაიდო. ხალხი-კი ამ აუტანელმა გადასახადებმა წ[...]

ფელეტონი

სოფელი და სოფლელნი

(დასასრული მეექვსე წერილისა*).

ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, რომ უზომო სიყვარული საშობლო სოფლისა შედეგია და ნაყოფი წარსულის ცხოვრებისა და ისტორიისა. ამ გრძნობამ განამტკიცა ჩვენში თავისებური კულტი ანუ რწმენა, რომელიც გააძლიერა უფრო საქართველოს მრავალ-ფეროვან ბუნებამ: ყოველი მხარე, კუთხე, ხევი განცალკევებული სცხოვრობდა; ყოველი თავისი ჩვეულება, ხასიათი და მიმართულება დაცული ჰქონდა. საქართველოს ბუმბერაზნი, „ვითა დევ-გმირნი“, სდარაჯობდნენ ამ გვარ ცხოვრებას და ეს კულტი მრავალ საუკუნის განმავლობაში ხელუხლებლად დაიცვეს და შეუნახეს ქვეყანას.

ისტორიული გამოკვლევა ამ საგანს ჯერ არ შეხებია, და არც მე მაქვს აზრად ეს მოვლენა ამ მხრივ ავხსნა, დავასაბუთო და განვმარტო; ამ საგანს შევეხე მხოლოდ იმიტომ, რომ დიდი ეკონომიური მნიშვნელობა აქვს. ამასთანავე აქ არ შემიძლიან არ აღვნიშნო, რომ, როგორც შედეგი წარსულის ცხოვრებისა, ეს კულტი სულაც არ ამტკიცებს ჩვენის ხალხის გონებრივს სიღატაკეს.

სწორედ ამ კულტის შედეგია, რომ ამერეთის გლეხ-კაცობას მიწა თანაბრად არ უჭირავს და შეძლებით ძალიან განირჩევა ერთმანეთში. როდესაც გლეხ-კაცობას ხევსურეთში, გორისა და თელავის მაზრაში და სხვა-და-სხვა სოფელში სულ მცირე მიწა უჭირავს და ამის გამო დიდს გაჭირვებაშია, სხვა მაზრების გლეხ-კაცობას მიწა ჭარბადა აქვს და ვერც-კი მოჰრევია.

ეს უკანასკნელი გარემოება დიდად მავნებელია მათთვის და მთლად გლეხ-კაცობას დიდს სიღატაკეს უქადის, მეტადრე ეხლა, როდესაც საკომლო გადასახადის მაგიერ, მიწის გადასახადი შემოიღო მთავრობამ.

შემდეგი ფაქტებიც ცხადად ამტკიცებს ზემოდ აღნიშნულ კულტის მავნებელ გავლენას: თელავის მაზრაში სოფელი ობოლიძე, რომელშიაც ირიცხებოდა ორასი კომლი, სრულიად ამოსწყდა ციებ-ცხელებით; იგივე დაემართა სოფელს ბაიხოსაც; სოფ. ჭალა-დიდში 1859 წლის კამერალიის აღწერით ირიცხებოდა 15 კომლი, 1873 წ. ოთხი კომლი-ღა დარჩა. სოფელ ტურის-ციხეში 52 კომლიდგან დარჩა მხოლოდ 31 კომლი, სოფ. სანავარდოში 35-დან დარჩა 31, სოფ. რჩეულეთში 13-დან 9 კომლი.

სოფ. ტურის-ციხეში, ზეგაანსა და ფშააანში ხალხი ამ სენით საშინლად იჟლიტება: 1873—1885 წ. წ. ამოსწყდა ტურის-ციხეში 22 კომლი, ზეგაანში—10 და ფშაანში—9 კომლი [1]).

ადმინისტრაცია დიდი ხანია სცდილობს გადაასახლოს ტურის-ციხისა, ზეგაანისა და ფშაანის გლეხ-კაცნი სოფელ შილდაში, რომელიც მდებარეობს მეზობლად, 6—10 ვერსის მანძილზედ და რომელიც ჰავით და მდებარეობით საუკეთესო სოფელია, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა ეს გადასახლება, თუმცა ის მიწები, რომელიც ამ სოფლებს ეკუთვნის, მათვე რჩებოდათ და შილდაში გადასახლებით არ ერთმეოდათ. მაინც დღესაც ეს სოფლელნი იქვე სცხოვრობენ და თავის სალოცავს არ ჰღალატობენ.

სხვაგანაც ამასვე ვხედავთ. მაგალითად, ტფილისის მაზრაში, სოფელ უჯარმაში, იმავე ციებ-ცხელებით 1873—1885 წ. წ. 119 კომლიდგან ამოსწყდა 24 კომლი, ანუ 70 სული ორისავე სქესისა. ამ სოფელს 12 წლის განმავლობაში დააკლდა 26% კომლეულობისა და 12,8% სული ორისავე სქესისა [2]).

თიანეთის მაზრაში სოფელი ბახტრიონი დიდი სოფელი იყო, მაგრამ წლითი-წლობით აქ ხალხი ციებ-ცხელებით იხოცება და 1873 წ. 40 კომლი-ღა დარჩა. 1873—1885 წ. წ. ორმოცი კომლიდგან ამოსწყდა 10 კომლი.

ხევსურეთში 1873—1885 წ. წ. აღრიცხვა ამტკიცებს, რომ ხევსურთა რიცხვმა იკლო [3]). მართალია, ხევსურეთში ციებ-ცხელება არ არის, მაგრამ სიღატაკის გამო ხევსურები ლამის სულ ამოწყდნენ, რადგან ხევსურეთის მიწა-წყალს შეუძლიან გამოჰკვებოს მხოლოდ ის რიცხვი, რომელიც დღეს არსებობს. მომავალში ხევსურთა ეკონომიური მდგომარეობა უფრო გამწვავდება, რადგან მეურნეობა მამა-პაპისებურია და მიწის ნიადაგი წლითი-წლობით სუსტდება და მცირდება.

უკანასკნელ ხანებში ყველგან გლეხ-კაცობას მეტი მოძრაობა ეტყობა; აქა-იქ ანებებენ თავს სამშობლო სოფლებს და სხვაგან იხიზნებიან, ხოლო თავის სალოცავ ხატის მორჩილობას და ყმობას დღესაც აღიარებენ. მართალია, ამ სასიამოვნო მოვლენის მაგალითები ჯერ ძალიან მცირეა, მაგრამ ესეც უტყუარი ნიშანია იმისი, რომ შესაძლოა ხალხს ჩაგონებით ძველი რწმენა შევუცვალოთ და სხვა, კეთილ-დღეობის მისაღწევი გზა აღმოვუჩინოთ.

როდესაც მთიელი გადასახლებას აპირებს სხვაგან, თავის სოფელში, ოჯახში მოხუცებულს სტოვებს, რომ კერას უპატრონოს და ცეცხლი არ გააქროს, რომ თავის ყმის გადასახლება ხატმა არ უწყინოს. გარდა ამისა, როდესაც რომელიმე ძმა ანუ ბიძაშვილი გადასახლებულა და სხვა ალაგას ბინა მოუკიდნია, მაშინაც-კი ეკონომიური და საოჯახო კავშირი არ მოუსპია ძველ ბინასთან. მაგალითად, ხშირად შეხვდებით ფშაველის ოჯახს, რომლის შვილნი სცხოვრობენ ცალკ-ცალკე კომლად სხვა-და-სხვა ალაგას: სამშობლო სოფელში (საფშავოში), ერწო-თიანეთში, კახეთში და დუშეთის მაზრაში, მაგრამ კამერალიაში-კი ყველა კომლი ერთად არის ჩაწერილი ყველა მაზრაში და თავისი ქონება და სარჩო საერთო საოჯახო საკუთრებად მიაჩნიათ.

ყველას ერთი მოთავე „მამაკაცი“ ჰყავს ამორჩეული, რომელიც განაგებს ყველა საოჯახო საქმეებს.

ამ წესის წყალობით ფშავლებს და მთიულებს უფრო ეხერხებათ გადასახლება და გახიზვნა. ფშაველი დარწმუნებულია, რაკი თავის კერას ჰპატრონობს და დედა-ოჯახს არ არღვევს, ხატი არ გამიწყრებაო; ამიტომ სამშობლო სოფელს უფრო ადვილად სტოვებს და ეს არის მიზეზი, რომ მისი კეთილდღეობა დღითი-დღე მატულობს. ენერგიით, შრომით, გონებით ეს თემი ჩვენის ერისა დიდად განირჩევა. ფშაველის სამშობლო უფრო ფართოა, დღეს ფშაველი მარტო თავის სოფელს არ ეტრფის, მარტო მთა არ მიაჩნია თავის სამშობლოდ. ეს გრძნობა კარგად არის გამოთქმული თვალ-საჩინო მგოსნის ვაჟა-ფშაველას ლექსში „მთა და ბარი“. მგოსანი მოუთხრობს მთას:

„შენი ძმა არის ბარიცა,
სთველ-ზაფხულ ბარაქიანი,
გმირთ სისხლით შაღებილი აქვს
ველები ბალახიანი.
შენი ხევებიც იქ ჩადის,
ხევები კალმახიანი.
საფუძვლად, მთაო, ბარი გაქვს,
იცოდე, ტალახიანი;
თუ ის ჩავარდა უფსკრულსა,
შენც თან ჩაჰყვები ნიადა;
არ გარგებს, თორო შენ იცი,
მთავ, ამაყობა ფრიადა.“

გლეხ-კაცთა უკეთ მოწყობა ჩვენში შეუძლებელია, თუ ზემოხსენებულის კულტის საწინააღმდეგოდ არა მოვიგონეთ-რა. სოფლის უზომო სიყვარულმა ჩვენს ხალხს დიდი ზარალი მოუტანა წარსულში და მომავალშიაც კარგს არას უქადის.

ბორჩალოსა და ახალ-ქალაქის მაზრა საქართველოს განაპირია და მტრისაგან ხშირად ყოფილა აოხრებული. ამ მაზრების ქართველი ხალხი გარეშე მტერმა ან სულ ამოჟლიტა, ან ტყვეთ წაიყვანა და გადაავგვარა. დღეს ამ მაზრებში ქართველი გლეხ-კაცობა თითქმის აღარ არის: ამ ქვეყნებს მეფე, თავად-აზნაურობა და გლეხ-კაცობა არა ერთხელ

*) იხ. „ივერია“ №№ 26, 27, 37, 51, 52, 60, 65, 94.

[1]) Матеріалы по изученію быта государственныхъ крестьянъ закавказскаго края, томъ V, ч I, стр. 2—3.

[2]) ibid. გვ. 171.

[3]) ibid. გვ. 341—343.

დში გასტეხა და ძველის მონობის მონასტრული გახადა.

ოსმალეთის გლეხი იმის ნახევარსაც არ იხდის, რასაც ბოლგარიაში იხდიან. „რა თავში ვიხლი თავისუფლებას, თუ კი კუჭი შიმშილით დამეწვისო“, ასე გაიძახის დღევანდელი ბოლგარელი გლეხობა, და ათასობით თათრის ხალხი, სოფლის მუშები სტოვებენ სახლ-კარს და გარბიან ოსმალეთში, აგრეთვე ბერძნები და ურიები.

ბოლგარიაში ჯერ კიდევ საშინელი სიძულვილია სხვა-და-სხვა ხალხთა შორის. ბოლგარს ბერძენი, ვლახი, ურია დასანახავად ეზარება; აგრეთვე ამათ ბოლგარები. ძმობა, ერთობა აქ ისევე მოუხერხებელია, როგორც მაკედონიაში. ბოლგარი ყოველ ღონისძიებას ხმარობს მოიშოროს თავიდან ყველანი, გარდა ბოლგარებისა, უნდათ მარტო დარჩნენ. ამ განცალკევებაში ერთი სხვა პოლიტიკური განზრახვაც გამოსჭვივის: ბოლგარებს ჰსურთ სხვა გვარები განდევნონ ბოლგარიის მიწა-წყლიდგან და მათს ადგილას მაკედონიისა, სერბიისა და ვლახიის ბოლგარები მიიწვიონ და დასახლონ. ეს გარემოება იწვევს მწვავს პარტიობას, პარტიობა ცხარე ბრძოლას, ბრძოლა-კი დიდს ხარჯს.

ამნაირად ბოლგარიას დღეს სრულიად უმნიშვნელო, უსარგებლო და უბრალო ხარჯი უფრო ბევრი აქვს, ვიდრე ნამდვილად საჭირო. ბოლგარიის მოხელეს, სახელმწიფოს თუ საეროს, დეკემბრის შემდეგ ჯამაგირი ჯერ არ მიუღიათ. ვაჭრობა ძრიელ დაცემულია, ხალხი საშინელს სიღარიბეშია ჩავარდნილი, მეტადრე მუშა ხალხი დიდ გაჭირვებაშია. სომხების გადმოსახლებამ დიდად შეუშალა ხელი აქაურს მუშებს და ძალიანაც სძულთ აქ სომხები, რადგან ყოველივე სამუშაო ადგილები, ზარაფ-ხანები, მანუფაქტურისა და თუთუნის ვაჭრობა სულ სომხების ხელში გადავიდა.

საზოგადოდ ბოლგარიაში და მეტადრე აქ, ბურგაზში, ვაჭრობა ბერძნების ხელშია, რომელნიც აქ ძრიელ მდიდრები არიან. ბერძნებს აქვთ თავიანთი საკუთარი, მარტო ბერძნულს ენაზედ, სკოლები და გიმნაზია, ეკკლესიები და საკრებულო ტაძარი, სახლები, მაღაზიები, ფაბრიკები და სხვა. ბერძენი სადაც უნდა იყოს, ყველგან ბერძენია. რამდენსა ცდილობს ბოლგარია, რომ ბერძენმა თავიანთი სკოლებში ბოლგარული ისწავლოს, მაგრამ ვერას გახდენ. ბერძნები ამაყად გაიძახიან: „ჩვენ ელინები ვართო!“

ბერძნის გავლენა მთელს ბოლგარიაში თუ არა, აღმოსავლეთ რუმელიაში მაინც დიდია. აქ და ფილიპოპოლში ბერძნული ენა ყოველ ფეხის გადადგმაზედ გესმით. თუმცა ისიც არის, რომ ბოლგარულიც ყველა ჯურისა და რჯულის ხალხმა იცის ამ მიდამოებში და მაკედონიაშიც და ამიტომაც არის, რომ ყველა აქ მოგზაურს ასე ჰგონია, ვითომც აღმოსავლეთის რუმელია და მაკედონია სრულებით ბოლგარებით არის დასახლებული.

როცა ბოლგარიამ თავისუფლება მოიხვეჭა, აი რა გამოაცხადა: ვისაც თხუთმეტი წლის განმავლობაში ბოლგარული წერა-კითხვა არ ეცოდინება, არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებსო. ამასთან ერთად ბოლგართა შორის სწავლა სავალდებულო შემოიღო. ყველა ბოლგარელი ვალდებულია თავისი ბავშვები სკოლაში მიაბაროს, თორემ ჯარიმას ახდევინებენ. ცამეტ წლამდის ბავშვი, ქალი თუ ვაჟი, სწავლობს დედ-მამის ხარჯით და შემდეგ-კი, ვისაც შეძლება აქვს, უმაღლეს სასწავლებელში შედის ან თავის ხარჯით ან სახელმწიფო ხარჯით. ამის გამო დღეს ბოლგარელი 65% ნასწავლია, წერა-კითხვის მცოდნე.

სხვა ხალხებმა ბოლგართა მთავრობის ამ განონიერს განკარგულებას ყური არ ათხოვეს, თავიანთი ენის მეტი არა ისწავლეს-რა და ამისათვის უკან ჩამორჩნენ, სახალხო ამორჩევაში მონაწილეობა ვეღარ მიიღეს და ამის გამო ამათ და ბოლგართა შორის საშინელი სიძულვილი ჩამოვარდა.

მაგალითს უსაზღვრო სიძულვილისას აქვე მოვიყვან: დღეს, 23 აპრილს, წმინდა გიორგის დღეობას—ელინთა მეფის გიორგის სახელწოდებას და ბოლგართა ექსარხოსის იოსებ პირველის ოც-დახუთის წლის იუბილეი ერთად მოხდა. ბერძნებმა ეს დღესასწაული გადაიხადეს ეკკლესიაში წირვა-ლოცვით ბერძნის სამეფო სახლობის მოხსენებით, რომელსაც დაესწრნენ ყველა აქაური ევროპის საკონსულოების წარმომადგენლები. ეკკლესიაში ბერძნის კონსულის ბრძანებით ხალხმა „ურა!“ შესძახა და „ზიტო, ზიტო“ დასძახეს წირვის და მოხსენების გათავების შემდეგაც.

ბოლგარებმა-კი შუა ქალაქში მშვენიერი პავილიონი აღმართეს, ყვავილებით და ბაირაღებით შემკული, სიტყვები წარმოსთქვეს და დიდად შეაქეს ექსარხოსის იოსებ პირველის მოღვაწეობა. პირველად სიტყვა წარმოსთქვა ხალხის წარმომადგენელმა ბურგაზის მცხოვრებთა მინდობილობით; მეორე სიტყვა სთქვა პატარა გოგონამ, აქაურ სკოლების ქალიშვილების მხრივ, და მესამე სიტყვა-კი ერთმა პატარა ვაჟმა—ვაჟთა სკოლების მხრივ. როგორც პირველი, ისე მეორე და მესამე წარმომადგენელი შეეხნენ საზოგადოდ ექსარხოსის იუბილეის დიდმნიშვნელოვანებას ბოლგარიისათვის, აქეს ექსარხოსის დაუცხრომელი მოღვაწეობა, დიდად სასარგებლო სულიერად თუ პოლიტიკურად.

დიდი სიძულვილი და ანტიპატია გამოსთქვეს ბერძნებისა და სერბიელებისადმი საზოგადოდ და კონსტანტინოპოლის ბერძენთა საპატრიარქოსადმი, განსაკუთრებით. პატარა გოგომ (იქნებოდა 12 წლისა) ასე დაასრულა თავისი სიტყვა: „ძმებო და დებო! ბოლგარიამ და მისმა შვილებმა სამუდამოდ დაამტკიცეს თავიანთი საუცხოვო გმირობა. ჯერ მაშინ, როცა ოსმალთა ბრჭყალებში ვიყავით, მაშინაც ვერავინ გვიბედავდა ჩვენ შეურაცხყოფას. ჩვენი სკოლები, ენა და ეკკლესია, საპატრიარქოებითურთ, ხელუხლებლად იმყოფებოდა ჩვენის ხალხის ხელში და ეხლა!?. წამოიძახა მან ხელის აშვერით და მწყრალის სახით,—ეხლა, როცა თავისუფალი ბოლგარია ხელში გვაქვს, როგორ უნდა მივცეთ ვისმე ნება შეეხოს ჩვენს წმიდათა წმიდას?! გიწვევთ ყველას, როგორც ვაჟებს ისე ქალებს, როგორც ამხანაგებს ისე ძმებს, დებს, მამებს, დედებს, დიდს და პატარას, ავიღოთ ხელში ჩვენი ჩვეულებრივი მახვილი და ჩვენი ხვედრი შევარჩინოთ... დღეს სერბია ლამობს სკოპიის საპატრიქო წაგვართვას და იქ ფირმილიანი მიტროპოლიტად დასვას... დრო დაგვიდგა ბრძოლისა, უნდა დავიცვათ ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა!.. გაუმარჯოს ბოლგარიას!!!“ ამაზედ ხალხმა დაჰქუხა „ურა“.

არა ნაკლების სიცხარითა და სასის გამომეტყველებით წარმოსთქვა პატარა, მაგრამ გრძნობიერი სიტყვა პაწაწინა ბიჭმა (ათის წლისა იქნებოდა). აქაც დასძახეს ურა.

ორსავე დღესასწაულში, როგორც ბერძნები, ისე ბოლგარები, სრულიად ცალკ-ცალკე დარჩნენ,—არც ბერძნებთან ეთვისა ვინმე ბოლგართაგანი და არც ბოლგარებთან ბერძენი.

ერთი რამ არის აქ კიდევ შესანიშნავი. ისა, რომ თუმცა ხალხის თავისუფლება, კონსტიტუციის ძალით, ხელ-უხლებელი უნდა იყოს, ბოლგარები ბერძენთა წინააღმდეგ სიტყვებს ამბობენ და ბერძნებს-კი თავის გასამართლებელ სიტყვის მიგების ნებას არ აძლევენ. ასეა, მკითხველო, დღეს ეს თავისუფალი ქვეყანა და რა იქნება იქ, სადაც თავისუფლება არ არის, ეს ადვილად მისახვედრია.

ასე თუ ისე ბოლგარები მაინც წარმატების გზას ადგანან და ბევრს რასმეს ახერხებენ და ბევრის იმედიც აქვთ. ბოლგარია დარწმუნებულია, რომ მაკედონიას ამ ცოტა ხანში ავტონომია მიენიჭება და შემდეგ ბოლგარიას შეუერთდება. მაგრამ არც ბერძნები არიან ჩვენსავით მძინარე: როგორც საქართველო სახლად ქართველებისაა და სახრავად—სომხებისა, სწორედ ასევე ბოლგარიაც სახლად ბოლგარებისაა და სახრავად-კი—ბერძნებისა. როგორც ზემოდაც მოვიხსენეთ, ყოველივე ვაჭრობა და სიმდიდრე ბოლგარიისა ბერძნების ხელშია.

იასე რაჭველი.

—

ბელგია. კლერიკალიზმი მთელს ევროპას უჭირებს საქმეს. იგი სულს ჰხუთავს თავისუფლებას, ელობება კულტურას, ხელს უშლის ხალხის კეთილდღეობას. მთელი ნახევარი საუკუნე ცხარე ბრძოლაა კლერიკალიზმსა და მოწინავე ელემენტთა შორის. პირველად საფრანგეთმა შესძლო იმასთან გამკლავება. უკანასკნელის ორის წლის განმავლობაში მთავრობამ, როგორც ვუწყით, მიწასთან გაასწორა კლერიკალიზმი და სახელმწიფო უზრუნველ-ჰყო იმის მავნე გავლენისაგან. სამწუხაროდ, სხვაგანაც ასე ნაყოფიერად ვერ დასრულდა ბრძოლა. პირ-იქით ბევრგან ისევ კლერიკალიზმი იმარჯვებს. ასეა, მაგალითად, ესპანიასა, ავსტრიასა და ბელგიაში. სულ ორი თვე არ არის, რაც ბელგიაში კლერიკალებმა დაამარცხეს პროგრესის მომხრენი და უარ-ჰყვეს საყოველთაო ხმის უფლება. მაგრამ ეს გამარჯვება უკანასკნელი იყო; შორს აღარ არის ის დრო, როდესაც ბელგიაც საფრანგეთივით მოიშორებს კლერიკალიზმს, ამ სისხლის მწოველ წურბელას. იმასთან საბრძოლველად უკვე შეერთდნენ ლიბერალები, სოციალისტები და სხვა მოწინავე დასის მომხრენი. ამას წინად დიდი კრება ჰქონდათ გაერთიანებულ ლიბერალებს. „კარგა ხანია, სწერს ერთი კორესპონდენტი, ლიბერალთა კავშირს ბრიუსელში ისეთი სადემონსტრაციო მანიფესტაცია არა ჰქონია, ისეთი გულ-წრფელი და აღფრთოვანებული არა ყოფილა, როგორც ეს ანტიკლერიკალური კავშირი იყო კრების დროს.“ პროგრესისტთა, ზომიერთა და ლიბერალთა დასების წარმომადგენლებმა ცხარე სიტყვები წარმოსთქვეს კლერიკალურ სამინისტროს და კლერიკალთა წინააღმდეგ. კრებამ გადასწყვიტა დროებით გადასდოს, დაივიწყოს დასთა კერძო ინტერესები და გულმოდგინედ შეუდგეს ერთის საქმის განხორციელებას—კლერიკალურ მთავრობის დამხობას. დამსწრეთ ერთმანეთს შეჰფიცეს იბრძოლონ იმ დრომდე, ვიდრე ბელგიას სრულიად არ გაანთავისუფლებენ კლერიკალთა გავლენისაგან. საჭიროდ მიგვაჩნია ვაუწყოთ მკითხველს, რომ ამ ჟამად ბელგიის პარლამენტში უმრავლესობას კლერიკალნი შეადგენენ. სულ პალატაში 86 კლერიკალია, 34 ლიბერალი, 31 სოციალისტი, და 1 დემოკრატ-სოციალისტი. საყოველთაო ხმის უფლება რომ შემოიღონ, კლერიკალთა ნახევარიც აღარ დარჩება პალატაში, რადგანაც სახელმწიფოს მცხოვრებთ დიდი უმრავლესობა იმათ წინააღმდეგია.

გერმანია. დღევანდელ მთავრობისა და პატრიოტთა პოლიტიკამ პოლონელნი გაა-ერთიანა. პოლონელნი, შეძლებისა და მიმართულების განურჩევლად, დღეს ერთის აზრით არიან გამსჭვალულნი: გაუმკლავდნენ მტერს და დაიცვან თავიანთი ეროვნება და ენა. საზოგადო მტერმა მეტად მჭიდროდ დააკავშირა წოდებანი. აქამომდე პოლონელთა არისტოკრატია მაგრე რიგად არა ჰზრუნავდა ეროვნულ საქმეებისათვის. იგი კარგად მიღებული იყო სასახლეში, იმპერატორთან მას დიდი გასავალი ჰქონდა და დღემდე თუ ეროვნულ საქმეებისათვის არა ზრუნავდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ამ ერს არავინა სდევნიდა. მაგრამ დრონი იცვალნენ, მთავრობა შეუდგა პოლონელთა შევიწროვებას და არისტოკრატიამაც ზურგი უჩვენა გერმანიას. პალატაში სხვა პოლონელ დეპუტატებსავით, არისტოკრატთა წარმომადგენელნიც მკვახე ენით შეუდგნენ მთავრობის პოლიტიკის კიცხვას. „რამდენიც უნდა გვებრძოლოთ, ერს მაინც ვერ გაანადგურებთო“, გამოუცხადა გერმანელთ ამას წინად თავადმა რადზივილმა. ეხლა არისტოკრატნი ხალხს უახლოვდებიან და იმასთან ერთად სცდილობენ თავიანთ ეროვნების, მიწა-ადგილის და ენის დაცვას გერმანელთა ძალ-მომრეობისაგან.

— ამას წინად ხმა გავრცელდა, რომ თავისუფალ მოაზრეთა დასმა პარლამენტში ასარჩევად იმპერატორის ძმის პრინც ჰენრიხის კანდიდატურა წამოაყენაო. როგორც ეხლა იუწყებიან, ეს ხმა ტყუილია. შეიძლება პრინც ჰენრიხს მართლაც ჰსურდა ყუთი დაედგა, მაგრამ შეეშინდა, ვაი თუ არ ამირჩიონო. პრინცს ყუთი ჰამბურგში უნდა დაედგა, იქ-კი ეს რამდენიმე წელიწადია სოციალ-დემოკრატს შვარც ირჩევენ. შვარცი მზარეულად ნამყოფია. შეიძლება პრინცსა და ადმირალს, იმპერატორის ძმას ჰენრიხს აი, სწორედ ამ მზარეულისა შეეშინდა.

— როგორც ბერლინიდგან „Temps“-ს ატყობინებენ, ამ ზაფხულს გერმანიაში ანარქისტთა კონგრესი მოხდება, რასაკვირველია, საიდუმლოდ. თვით კონგრესის წევრებს შესაკრებად წერილებს მხოლოდ წინა დღეს მისწერენ, ასე რომ კონგრესის დღეს ვერავინ გაიგებს. კონგრესმა შემდეგი საქმეები უნდა განიხილოს: დასის მოქმედების ანგარიში, ორგანიზაცია და აგიტაცია, როგორ უნდა მოიქცნენ ანარქისტნი მომავალ საპარლამენტო არჩევნების დროს, ანარქისტთა პრესა.

ინგლისი. ლიბერალ-იმპერიალისტები დიდ ფაცა-ფუცსა და მოქმედებაში არიან. იმათი „სალიბერალო ლიგა“, რომელსაც როზბერი მეთაურობს, უკვე შეუდგა ადგილობრივ განყოფილებათა მოწყობას. პროგრამა ახალის დასისა ამ ლიგას გამოუქვეყნებია. ამ პროგრამაში ნათქვამია, რომ ლიგას აზრადა აქვს იმათი გაერთიანება, ვინც თანაუგრძნობს იმ პრინციპებს, რომელნიც როზბერმა აღიარა ჩესტერფილდის სიტყვაში. ლიგის პროგრამა შემდეგ მთავარ მუხლებს შეიცავს: 1) ახალი დასი სცდილობს დაიცვას ინტერესები „თავისუფალ, მშვიდობის მოყვარე და მომთმენ ბრიტანიის იმპერიისა“; 2) საგარეო პოლიტიკას, მილიტარიზმისა და ვაჭრობა-მრეწველობაში მეტოქობის გაძლიერების გამო, უპირველესი ადგილი უნდა დაეთმოს; 3) ლიგა საჭიროდა სცნობს, რომ ინგლისმა შეინარჩუნოს ბატონობა ზღვაზედ. ამას გარდა, საჭიროა ხმელეთის ჯარის უკეთესად მოწყობა; 4) შინაურ პოლიტიკაში დღევანდელი სალიბერალო პროგრამა შეზღუდულ უნდა იქმნას; უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს სასკოლო, სასმელების და იაფ-ფასიან სადგომების საქმეებს; 5) ლიგა წინააღმდეგია იმისა, რომ ირლანდიას დამოუკიდებელი პარლამენტი მიეციოს.

— ამას წინად ლონდონში დიდი დემონსტრაცია მოხდარა პურის გადასახადთა წინააღმდეგ. სადემონსტრაციო პროცესიებში მონაწილეობა მიუღიათ მუშათა კავშირებს, საურთი-ერთო დამხმარებელ საზოგადოებებს, დემოკრატიულ ორგანიზაციებს და სხვებს. პროცესიებს მუსიკითა და დროშებით გაუვლიათ ქუჩებზედ. ჰაიდ-პარკში მრავალი სიტყვა წარმოუთქვამთ. ორატორებმა საშინლად გაჰკიცხეს თურმე სამინისტრო და იმისი ახალი პროექტი.

— კუნძულ მალტის მცხოვრებნიც ირლანდიელთა პოლიტიკას დაადგნენ. ამას წინად ადგილობრივ საკანონმდებლო საბჭოს გადაუწყვეტია, ფული არ გადასდოს და არავითარი მონაწილეობა არ მიიღოს იმ დღესასწაულებში, რომელიც მეფის გვირგვინის კურთხევის გამო გაიმართება. საბაბად ის დაუსახელებიათ, რომ ინგლისი ავიწროვებს მალტასაო. როგორც ვუწყით, ჩემბერლენმა მოისურვა მალტაზედ ადგილობრივ ენის გაუქმება და ინგლისურის შემოღება.

საფრანგეთი. საფრანგეთში ხმა დადის, რომ ვალდეკ-რუსსოს სამინისტრო მალე გადადგებაო. ახალ პალატას პირველ კრების დროსვე სამინისტროს საზოგადო პოლიტიკაზედ ექნება ლაპარაკი. როდესაც პალატა მოიწონებს ამ პოლიტიკას და მთავრობის მოქმედებას, სამინისტრო თანამდებობას თავს დაანებებს. ახალ პალატაში ყველაზედ ძლიერნი დღეს რადიკალნი არიან, ეჭვი არ არის. სამინისტროს შედგენას პრეზიდენტი ამათ მიანდობს. სოციალ-დემოკრატთა მეთაურს ჟორესს ურჩევია რადიკალთა წინამძღოლებისთვის შეადგინონ „რეფორმათა სამინისტრო“. სოციალისტები ამ სამინისტროში არ შევლენ, მაგრამ მხარს დაუჭერენ, თუ იგი მტკიცედ ივლის პროგრესის გზაზედ და ძირითად რეფორმების შემოღებას ეცდება.

—

ნარევი.

გაზ. „Нов. Вр.“-ში დაბეჭდილია წერილი ამიერ-კავკასიიდგან შინა-მრეწველობის შესახებ. ამ წერილში საკმაოდ საინტერესო ცნობანია მოყვანილი ამ დარგის შესახებ. წე-

---

გამოსარჩლებია და მტრისაგან დაეხსნა, მაგრამ თვით ქართველი გლეხ-კაცობა, რომელიც საქართველოს სხვა მხრიდგან მოდიოდა მტერთან საბრძოლველად, აოხრებულ ქვეყანაში არა რჩებოდა, არ მკვიდრდებოდა იმ საუბედურო რწმენის გავლენით, რომლითაც ყველა ქართველი შეპყრობილი იყო; ხატის შიშით გლეხი თავის სოფელს ვერ შორდებოდა.

ყოველი ერი იმის ცდაშია, თავისი მიწა-წყალი შეინარჩუნოს, სხვა ალაგებიც შეიძინოს და ამით საერო ტერიტორია, სამშობლო ქვეყანა გაიფართოვოს; ჩვენი ხალხი-კი, საუბედუროდ, სულ არა ზრუნავდა ამისთვის და ამ მხრივ არავითარ სიხარბეს არ იჩენდა. როდესაც დრო და გარემოება ნებას აძლევდა, არამც თუ სხვა ქვეყნებს იპყრობდა, თავის სამშობლოს აოხრებულ ქვეყნების აღდგენაც-კი სავალდებულოდ არ მიაჩნდა. რად უნდოდა ქართველს სხვისი მიწა-წყალი, როდესაც ხატის შიშით თავის სამშობლო სოფელს ვერ დაანებებდა თავს და იქ ვერ დასახლდებოდა?!

ამ მიზეზით ქართველი გლეხ-კაცი ბორჩალოს მდიდარს მხარეს არ დაეპატრონა, იქ არ დაიხიზნა და „სამშობლოს“ სალს კლდეებს და ხრიოკ ალაგებს ვერ უღალატა.

ბორჩალო უდაბნო ქვეყნად გარდაიქცა; ამ ქვეყნის პატრონად დარჩა საქართველოს თავად-აზნაურობა, რადგან ქართველი ხალხი სხვა მხრის სოფლებიდან აღარ მიდიოდა და მისთვის ვითომ უცხო ქვეყანაში არ იხიზნებოდა; მეფე და თავად-აზნაურნი იძულებულნი გახდნენ უცხო გვარ-ტომის გლეხ-კაცობა დაესახლებინათ. ბორჩალოს მაზრის თავად-აზნაურნი დღესაც დიდი მემამულენი არიან და გლეხ-კაცობა-კი თითქმის სულ უცხო-გვარ-ტომისაა.

აბა, დავაკვირდეთ, რასა ვხედავთ დღეს? ბორჩალოს მაზრაში (1886 წ.) 13,529 კომლი სცხოვრობდა ანუ 101,847 სული ორისავე სქესისა და ამ რიცხვში ქართველნი იყვნენ მხოლოდ 560 კომლი ანუ 4149 სული ორისავე სქესისა, დანარჩენნი-კი სულ უცხო გვარ-ტომისანი იყვნენ. ქართველთა რიცხვი ამ მაზრაში მხოლოდ $4,_{07}\%$ შეადგენდა.(4)

მესაკუთრეთ ეკუთვნის 356,635 დესეტინა მიწა, ამ რიცხვში დიდ-ძალი მიწა თავად-აზნაურობისაა. საბატონო გლეხ-კაცების და ხიზნების ხელშია 20,991 დესეტინა; სახაზინო გლეხ-კაცობას უჭირავს $111,943,_5$ დესეტ. მიწა [5]).

აქედან სჩანს, რომ თითქმის ნახევარ მილიონ დესეტინა მიწაზედ ეხლა სულ უცხო გვარ-ტომის ხალხია დასახლებული, მაშინ როდესაც თავად-აზნაურნი და დიდნი მემამულენი ქართველნი არიან (ორბელიანი, მელიქიშვილი, ბარათაშვილი, ციციშვილი, ანდრონიკაშვილი, საგინაშვილი და სხვანი).

ზემოაღნიშნულ კულტისავე შედეგია, რომ გორის მაზრაში მებატონეებმა თავის მამულზედ დაასახლეს ოსები და ამიტომ ხიზანთა უმრავლესობაც დღეს ოსები არიან. ქართველ გლეხ-კაცის გადასახლება მეზობელ სოფლადაც-კი შეუძლებელი იყო. ოსები, სომხები, თათრები და სხვა გვარ-ტომის წარმომადგენელნი-კი იხიზნებოდნენ ყველგან, რადგან მხოლოდ თავის კეთილდღეობისათვის ჰზრუნავდნენ, და ხელთ იგდეს თავად-აზნაურობის თავისუფალი ალაგები.

ომიანობის შემდეგ 1828, 1855 და 1877 წლებში გადაიხიზნენ ოსმალეთში მაჰმადიანნი; ახალციხისა, ახალ-ქალაქისა, ალექსანდროპოლისა, ახალ-ბაიაზეთისა და სხვა მაზრები უდაბნოდ გადიქცა. მთავრობამ განიზრახა ამ ქვეყნებში გლეხ-კაცობის დასახლება. თუმცა იქ გადასახლება დიდ ბედნიერებას უქადიდა გლეხ-კაცობას, თითო კომლს ეძლეოდა 35 დესეტინა მიწა ანუ 70 დღიური, მაგრამ ქართველმა ხალხმა ფეხი არ გადადგა, თავის „სამშობლო“ სოფელს ვერ მოშორდა, და ამის გამო ამ მაზრებში მთავრობამ სულ უცხო გვარ-ტომის გლეხ-კაცობა დაასახლა და კარგადაც მოაწყო. მათ შორის დიდი უმრავლესობა სომხის გვარ-ტომისა არის, რომელიც ოსმალეთიდგან და სპარსეთიდგან გადმოიხიზნა.

ახალ-ქალაქის მაზრაში (1885 წ.) სახელმწიფო გლეხ-კაცთა რიცხვი 39,141 სული ირიცხებოდა ორისავე სქესისა და ამათ ხელშია 100,000 დესეტ. მეტი მიწა; ამ რიცხვში ქართველნი არიან მხოლოდ 3,338 სული ორისავე სქესისა ანუ $8,_{53}\%$. 1885 წ. ალექსანდროპოლის მაზრაში სახელმწიფო გლეხ-კაცთა რიცხვი 102,784 სული იყო ორისავე სქესისა და ამათ უჭირავთ 300,000 დესეტ. მეტი მიწა. არც ერთი ქართველი არ არის ამ მაზრაში და ახლად დახიზნულნი სომხები-კი 93,233 სული იყო ორისავე სქესისა.

განა ჩვენში შეიძლება გლეხ-კაცობის მოწყობა და მათის მდგომარეობის ნივთიერად გაუმჯობესება, მინამ საქართველოს ხალხი „სამშობლო სოფლის“ ყმობისაგან არ განთავისუფლდება?!

ყოველი კეთილის მსურველი გლეხ-კაცისა უნდა თვით ამ გლეხ-კაცს დაეკითხოს და იმისაგან გაიგოს, რა სურს და რა დააკმაყოფილებს? განა, გლეხ-კაცს მხოლოდ მიწა ესაჭიროება? სულაც არა! აუარებელი მიწა რომ აღუთქვათ სადმე სხვაგან და არა თავის სოფელში, ვერ დააკმაყოფილებთ: მე მიწა მეჭირვება ჩემ სოფელშიო, გიპასუხებთ დიდი უმრავლესობა გლეხ-კაცობისა, სხვა სოფელში რა მინდაო?.. ჩემი სალოცავი ჩემს სოფელშიაო, ჩემი ხატი ჩემ „სამშობლოში“ ბრძანდებაო, ჩემი ძვლები ჩემ სოფელში უნდა ჩავყაროო!..

სწორედ ამის შედეგია, რომ გორის მაზრაში, რომელიც შუა-გულია საქართველოსი და მტრისაგან ნაკლებ აოხრებული, ქართველი ხალხი მჭიდროდ არის დასახლებული; დიდ უმრავლესობას მიწა-წყალი ნაკლები უჭირავს და, როგორც გლეხ-კაცობა, რომელიც დიდ ღალას იძლევა, ისე თავად-აზნაურობის უმრავლესობა, დიდს გაჭირვებაშია; სიღნაღის და ტფილისის მაზრაში-კი გლეხ-კაცობას მიწა უხვად უჭირავს და ღალაც ისეთი მცირეა, რომ ქართლის გლეხს სიზმრადაც არ მოელანდება. ქართლის მემამულენი (თავად-აზნაურნი) ღალით სცხოვრობენ, მაშინ როდესაც სიღნაღის მემამულე მოიჯარადრეს ვერ შოულობს, და ჩინებული მიწები მებატონეებისა და თვით გლეხ-კაცობისა გავერანებული და უხმარი სძევს.

ქუთაისის გუბერნიაში გლეხ-კაცობამ მწარე ოფლით შეძენილი და დიდის ყაირათობით ნაშოვნი მილიონები არ დაჰზოგა და შეისყიდა მიწები თავად-აზნაურობისაგან. ეს გარემოება სასიამოვნო და გასაკვირველია, ყველას უმტკიცებს იმერეთის გლეხ-კაცობის შრომის მოყვარეობას, ყაირათობას, მხნეობას და იქაურ მუშა-ხალხს კარგს მომავალს უქადის.

მაგრამ განა საუბედურო არ არის ის ვასაოცარი მოვლენა, რომ იმერეთის გლეხ-კაცობამაც თავის „სამშობლო“ სოფლის უზომო სიყვარულის გამო აუარებელი ფული დახარჯა და ძალიან მცირე მიწა-კი შეისყიდა იმერეთში, როდესაც ამ ფულის ნახევარიც იკმარებდა დიდ-ძალის მიწისა და ჩინებულის მამულების შესასყიდად ამერეთში. ამით ხომ ჩვენი ქვეყანაც ასცდებოდა უცხო გვარ-ტომის გამეფებას ჩვენსავე მიწა-წყალზედ. ამასთანავე თვით იმერეთშიაც გლეხ-კაცობას მეტი შეღავათი მიეცემოდა: იქ უფრო იაფად შეიძენდა მიწას და ისე მჭიდროდ აღარ იქნებოდა დასახლებული.

ამ უკანასკნელ ხანებში იმერეთის გლეხ-კაცობას უფრო მეტი სიფხიზლე ეტყობა, მაგრამ უმრავლესობა იქაც გატაცებულია თავის სამშობლო სოფლის სიყვარულით და ერთი ქცევა მიწა თავის „სამშობლოში“ ურჩევნია მთელს მამულს ამერეთში.

ვიდრე ჩვენი ხალხი არ შეიგნებს, რა არის საერთო სამშობლო, რომელიც, „როგორც უფალი ერთია ქვეყანაზედა“, იმ დრომდე ქართველ ხალხის კეთილდღეობა ყოვლად შეუძლებელია.

მ. ტფილისელი.

4) Сводъ статистическихъ данныхъ о населенiи Закавказскаго края, изд. 1893 г.

5) Сборникъ статистическихъ свѣдѣнiй по Закавказскому краю стр. 226 и 227.

რილის ავტორი ამბობს, რომ ჰფიქრობენ, ვითომ ღირებულობა შინა-მრეწველობისა იყოს ყოველ წლივ 18 მილიონის მანეთისაო, მაგრამ ეს გადაჭარბებულია.

უმთავრესი საქმე შინა-მრეწველობაში—განაგრძობს კორესპონდენტი—ხალიჩების ქსოვაა. ამ საქმეს ნამდვილი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, გავრცელებულია ბაქოსა, განჯისა, ერევნისა, ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში, აგრეთვე დაღესტნის ოლქში. ეს საქმე მართალია აქაური ტიპიური წარმოებაა. ეჭვი არ არის, რომ ხალიჩების ქსოვას დიდი მერმისიც მოელის. ამიერ-კავკასიაში 7 მილიონამდე სული ცხვარი იქნება, რომელიც იძლევა ყოველ-წლივ 600,000 ფუთს მატყლს. ნახევარი ამ მატყლისა საზღვარ-გარეთ მიდის—რუსეთში და სხვაგან. ხოლო ნახევარი ადგილობრივ რჩება. ხალიჩების ქსოვაზედ გავლენა აქვს აქაურს მეაბრეშუმეობასაც. აბრეშუმი თითქმის 2 მილიონისა მოჰყავთ აქ. ამ საქმესვე უახლოვდება მატყლის მოთელის საქმე: კეთება ქეჩა-ნაბდებისა და სხვ., აგრეთვე სადაბლო საქმე: კეთება სამოგვისა, კერვა ტყავის ფეხსაცმელებისა და სხვ.

ავტორი წერილისა ამტკიცებს, რომ შინა-მრეწველობას ამიერ-კავკასიაში ბევრი რამ აკლიაო. ტეხნიკა დაძველებულია, მატყლს კარგი შემუშავება უნდა, კარგი შეღებვა, საუკეთესო საფეიქრო და კარგი ნიმუშები დასურათებისათვისაო. საუკეთესო ხალიჩები საზღვარ-გარეთ წაიღეს და ძველის ხალიჩების სურათები ალბომად არ არის გამოცემულიო.

ავტორის აზრით, ხალიჩის ქსოვის საქმე ინგლისის კაპიტალისტებმა ჩაიგდეს ხელში და სპარსეთში გააძლიერეს ეს დარგი მრეწველობისაო. მეორე დარგი შინა-მრეწველობისა კავკასიაში ლითონის შემუშავებაა: ოქრო-ვერცხლის ნივთების კეთება სევადითა, ზარნიშითა და სხვ. სხვა დარგნი ძალიან ნაკლებად არის გავრცელებულიო.

დასასრულ ავტორი ამბობს, რომ

შინა-მრეწველობის გაძლიერებისა და განკარბისათვის კავკასიაში საჭიროა: ინსტრუქტორების მოღვაწეობის მოწყობა, დემონსტრაცია წარმოების იარაღისა და თვით წარმოებისა, დამართვა საპროფესიონალო სახელოსნოებისა, მუზეუმებისა და საწყობთა, კრედიტი წარმოების იარაღისა და შინათ ნაკეთებ ავეჯის გირაოთი.

დ ე პ ე შ ა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

4 მაისი.

პარიჟი. პორტ-დე-ფრანსედგან მოსულის ცნობებით, გუშინ ცეცხლ-მფრქვევი მთიდგან მოსჩანდა ალი, ხოლო დღეს დილით—ვულკანიდგან ამოდიოდა ბოლის წითელი ღრუბლები. მცხოვრებნი შიშმა შეიპყრა.

ბირმინგამი. ჩემბერლენმა სიტყვა წარმოსთქვა, რომ იმედი მაქვს ზავის ჩამოგდებისა, მაგრამ მაინცა-და-მაინც ოპტიმიზმით არავარ გატაცებულიო. შესაძლებელია, ხელ-ახლა წარმოადგინონ ზოგიერთი შეუძლებელი პირობანი, მაგრამ ინგლისი არ გაიმეორებს იმ შეცდომას, რომელიც მალუბის დროს მოხდა. მმართველობის ახალ წეს-რიგის შემოღებას, რომელიც ყველამ უკვე უწყის, მხარს ვერ ავუქცევთო.

კოპენჰაგენი. ესკადრამ პრეზიდენტი ლუბეთურთ დღეს გაიარა დიდ ბელტაზედ.

5 მაისი.

სოხუმი. მოვიდა ახალი საზოგადოების გემი „პრინცი ოლდენბურგსკი“, რომელიც საცდელად კერჩსა და ბათუმს შორის დადის.

მადრიდი. მეფემ პარლამენტში მიიღო ფიცი; ცერემონიის შემდეგ სან ფრანცისკოს ეკკლესიაში გადაიხადეს პარაკლისი. დედოფალი-რეგენტი მინისტრ-პრეზიდენტისადმი მიწერილ წერილში მადლობას უცხადებს ერთგულებისათვის და იმედს, რომ მცხოვრებნი დაეხმარებიან ახალგაზდა მეფეს. პარლამენტში მეფის მოსვლის წინად, პალატის მდივანმა პრეზიდენტს რაღაცა უთხრა ყურში; პრეზიდენტი გაფითრდა და ხმა მაღლა სთქვა: „დამშვიდდით, ჭკუა-შეშლილმა თუ ავაზაკმა მოინდომა მეფის მოკვლა, მაგრამ ვერ მოახერხა“. მეფეს დიდის ოვაციით მიეგებნენ. დამნაშავე შეიპყრეს.

ნაშუადღევს ვიღაცა კაცი მიუახლოვდა მეფის ეკიპაჟს. კაცი შეიპყრეს. იარაღი არა უპოვესრა, მხოლოდ უპოვეს საარშიყო ლექსი მარია ტერეზიასადმი მიძღვნილი. ჭკუა შეშლილმა იოზე პუიგმა, 23 წლისამ, სთქვა, რომ მინდოდა დედოფლის ქალისთვის ცოლობა მეთხოვნაო.

მინისტრებმა მეფეს სამსახურიდან დათხოვნის ქაღალდი მიართვეს. მეფემ კვლავ განუგრძნო უფლებანი საგასტას.

ბერმენი. ბურების სარდლები დიდის ისამოვნებით წავიდნენ ფერეინნიგუნგში, რადგან აქ შეეძლებათ გამოარკვიონ სამხედრო მდგომარეობა ბრძოლის ველზე.

პრეტორია. როგორც ისმის, ფერეინნიგუნგში ბურების სარდლებს რჩევა კენჭის ყრითა ჰქონიათ; თათბირის დროს ინგლისელები არ ებრძოდნენ ბურების იმ რაზმებს, რომელთა სარდლებიც თათბირზე იყვნენ.

ბელგრადი. დღეს ვერ დაბოლოვდა თათბირი შესახებ სესხის აღებისა; კენჭს ხვალ უყრიან; ცხადია წინადადებას არ მიიღებენ.

როგორც ისმის, მინისტრ-პრეზიდენტი ბეჯითად თხოულობს სამსახურიდგან დათხოვნას; პაშიჩს უკვე მოლაპარაკება აქვს ზოგიერთ პირებთან, რომელნიც იქნებიან ახალ სამინისტროში.

კამიშლოტი. შადრინსკის მაზრის ბევრს სოფელში არსდება ერბოს მკეთებელთა არტელები; არტელებს სუბსიდიას აძლევს ერობა.

პარიჟი. „მატენს“ ატყობინებენ პორტ-დეფრანსედან, რომ 4 მაისს 15 ძლიერი აფეთქება მოხდაო.

მადრიდი. პუიგი შეიპყრეს იმ დროს, როდესაც სამეფო კარეტის კარების გაღება უნდოდა. პუიგი ლაქიად მსახურებდა და დათხოვნილ იქმნა იმიტომ, რომ თაიგული სიროლა დედოფალ რეგენტის კარეტაში.

კაპშტადტი. ბეჩუანების ტერიტორიის მახლობლად ტყვედ წაიყვანეს ინგლისელებმა 400 ბური, მათში 100 კაპლანდელი მეამბოხეა.

მადრიდი „მადრიდის გაზეთში“ გამოქვეყნებულია მანიფესტი: მეფე გულითადად მიესალმა თავისს ხალხს და აცხადებს, რომ ვგრძნობ ჩემის მოვალეობის სიდიადეს და გამოუცდელობას. მაგრამ ყოველ ღონეს ვიხმარ ესპანიის კეთილდღეობის დასახმარებლადაო.

6 მაისი.

პეტერბურგი. უმაღლესის რესკრიპტით ებოძათ: უწმიდესის სინოდის ობერ-პროკურორის თანაშემწეს საბლერს წმ. ალექსანდრე ნეველის ორდენი; საქართველოს ექსარხოსს ალექსის ბრილიანტის ჯვარი ბარტყულაზე სატარებლად.

სახელმწიფო საბჭოს წევრებათ დაინიშნენ სენატორი პლატონოვი და სარატოვის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი კრივსკი.

სამარკანდი. მარასიდგან, ბუხარის ტერიტორიიდგან, სამარკანდის ოლქისაკენ დიდძალი კალია მოდის. სამხედრო გუბერნატორი მინდვრად არის კალიის გასაწყვეტად.

მოსკოვი. მოსკოვში ასოთ-ამწყობთა კონკურსში მონაწილეობა მიიღო 43 ასოთ-ამწყობმა. ამათში თერთმეტმა „აქციდენტურ“ მუშაობაში. ყველაზე სწრაფად აიწყო ერთიანი საწყობი—საათ-ნახევარში აწყობილ იქმნა 77 სტრიქონი. სტრიქონში 52 ასოა.

პეტერბურგი. როგორც „ნოვოსტი“ იუწყება, პეტერბურგის უნივერსიტეტის საბჭომ საგანგებო კრებაზედ აირჩია ამ უნივერსიტეტის საპატიო წევრად საერო განათლების მინისტრად ყოფილი გენერალ-ადიუტანტი ვანოვსკი.

6 მაისი.

ვილნო. გუშინ, 12 საათზედ, ცირკიდგან გამოსვლის დროს, გუბერნატორს ფონ-ვალს უკანიდგან მიეპარა ვიღაც კაცი და რევოლვერი ესროლა. ტყვია მარცხენა ხელში მოჰხვდა. როდესაც გუბერნატორი მობრუნდა, ბოროტ-მოქმედმა ხელმეორედ ესროლა მარჯვენა ხელში. გუბერნატორი შეტორტმანდა. პოლიციამ და საზოგადოებამ წააქციეს ბოროტ-მოქმედი. გამოძიების დროს ამ კაცმა სთქვა, რომ კოვნოს გუბერნიის მეშჩანინი გირშემ ლეკერტომი ვარო.

ხაბაროვსკი. დიდი ნაწილი ჩჟილის პროვინციის მცხოვრებლებისა კვლავ აჯანყებულია ქრისტიანთა წინააღმდეგ; ამ უკანასკნელ ხანს საქმე ძალიან გამწვავდა ჩჟილის სამხრეთ ნაწილში, იზიუმისა, გუანცზუნისა და ვეხიანის მაზრებში; მეამბოხეთა რიცხვი 30,000 მეტია, მათ ხელმძღვანელობს ცინ-შინ-პინი, რომელმაც თავისი ცოლნი და ქალნი დახოცა, რათა ამით დაემტკიცებინა თავისი ერთგულობა ამბოხების საქმისადმი. ამბობენ, რომ გაწვრთნილი ჯარი უარზეა—მეამბოხეთ თოფს ვერ ვესვრითო. იმპერატორის ედიქტით ებრძანა იუან-შიკაის მიიღოს ღონისძიებანი ამბოხების ჩასაქრობად.

სოხუმი. სასურველია, რომ უბრალო კორესპონდენცია ნოვოროსიისკიდამ სოხუმსა და სხვა ნავთ-სადგურებში იგზავნებოდეს არა მარტო საფოსტო გემებით, არამედ სამგზავრო გემებითაც.

პარიჟი. დედოფალ იმპერატრიცის დაბადების დღეს რუსთა ეკკლესიაში გარდახდილ იქმნა წირვა და პარაკლისი.

ცარსკოე სელო. 6 მაისს, დედოფალ იმპერატრიცის დაბადების დღეს, ცარსკოე სელო ბაირაღებით შეიმოსა. დილის 11 საათზედ მოხდა უმაღლესი გამობრძანება წირვაზედ, რომელსაც დაესწრნენ მათი იმპერატორებითი უდიდებულესობანი და სამეფო გვარეულობის წევრნი.

პეტერბურგი. 6 მაისს ქალაქმა იდღესასწაულა დედოფალ იმპერატრიცის დაბადების დღე. ისაკის სობოროში წირვა და სამადლობელი პარაკლისი იქმნა გარდახდილი:

უწმ. სინოდმა შესაძლებლად ვერა სცნო მიიღოს ცოლ-შვილიანი მღვდლები აკადემიის სტუდენტებად.

მადრიდი. კარლისტთა გაზეთში დაბეჭდილია დონ-კარლოსის სურათი. გაზეთი აცხადებს, რომ ხელ-ახლა შევფიცეთ ერთგულება პრეტენდენტსაო.

7 მაისი.

პეტერბურგი. ბევრ ქალაქიდგან იუწყებიან ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს წირვა-პარაკლისების გადახდის შესახებ.—„Прав. Вѣст.“-ი იუწყება: „ვილნოში, 5 მარტს, საღამოს 12 საათზედ, გუბერნატორს ფონ-ვალს ბოროტ-გამზრახველი თავს დაეცა, როგორცა სჩანს, პოლიტიკურის მოსაზრებით ბოროტ-მოქმედი სამხედრო სამართალში იქმნება მიცემული“.

ვილნო. „Вилен. Вѣст.“-ში დაბეჭდილია ბიულეტენი გუბერნატორის ჯანმრთელობისა: „ღამე მშვიდობიანად გაატარა. ორი ჭრილობა აქვს: ერთი მარცხენა ხელზედ, მეორე მარჯვენა ფეხზედ. ორივე ტყვია ოპერაციით გამოიღეს“.

ბერლინი. ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში გადახდილ იქმნა წირვა.

გააგა. დღეს კრება ჰქონდათ ზავის მომხრეთ. ზოგიერთმა ორატორმა აღნიშნა მნიშვნელობა კონფერენციისა და სამედიატორო სასამართლოსი. მინისტრად ყოფილმა ვან-გუტესმა სთქვა, რომ სამხრეთ-აფრიკის ომი დანაშაულობაა საერთა-შორისო უფლების წინაშეო.

პარიჟი. ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში წირვას დაესწრნენ ლუბესა და დელკასსეს წარმომადგენელნი.

ვენა. რუსეთის საელჩოს ეკკლესიაში ხელმწიფე იმპერატორის დაბადების დღეს გადახდილ იქმნა წირვა, რომელსაც დაესწრნენ საელჩოს წევრნი და სხვანი.

პარიჟი. პრეზიდენტის რუსეთში წასვლის გამო გაზეთებში წერილებია დაბეჭდილი საფრანგეთ-რუსეთის კავშირის შესახებ. „Journal“-ი სწერს: „საფრანგეთ-რუსეთის კავშირი ხელ-ახლა დიპლომატთა სალაპარაკო საგნად გადაიქცევა. ხელმწიფე იმპერატორისა და მინისტრს გრაფ ლამსდორფის შემდეგ, თავადი ურუსოვი მთავარ როლს თამაშობდა კავშირის საქმეში. იმან ხელი შეუწყო ამ კავშირის განმტკიცებასაო“.

პეტერბურგი. 7 მაისს, დილის 10¼ საათზედ, კრონშტადტის რეიდზედ მიეგებნენ პრეზიდენტს ლუბეს. 10 საათზედ „ალექსანდრიას“ იახტით რეიდზედ მობრძანდა ხელმწიფე იმპერატორი; თან ახლდნენ გენერალ-ადმირალი დიდი მთავარი ალექსი ალექსანდრეს ძე, მინისტრები კარისა, გარეშე საქმეთა და საზღვაო, ელჩი ურუსოვი, მარკიზი მონტებელლო და სხვანი. სამხედრო გემები ორრიგად იყვნენ გაწკრივებული. ზღვა გემებით იყო სავსე, რომელზედაც აუარებელი ხალხი იყო. როდესაც საფრანგეთის ესკადრა გამოჩნდა, ფორტებიდგან სროლა დაიწყეს. „მონკალმის“ მოახლოვებისას, იმასთან მივიდა საიმპერატორო კრატერი, რომელზედაც გენერალ-ადმირალი იყო. შემდეგ მისი უმაღლესობა პრეზიდენტთან ერთად ჩაჯდა გემში და „ალექსანდრიას“ იახტას მიუახლოვდა. გაისმოდა „ვივ-ლა-ფრანს, „ვივ-ლა-რუსს!“ მისი უდიდებულესობა გულით მიეგება პრეზიდენტს, რომელმაც იახტაზედ დედოფალ იმპერატრიცის გვერდით დაიჭირა ადგილი. იახტა პეტერგოფში წავიდა.

პეტერბურგი. პეტერგოფის ნავთ-სადგურზედ იცდიდნენ დიდნი მთავარნი, ხელმწიფე იმპერატორის ამალის წევრნი და საპატიო დარაჯი. ჩამოუარეს რა დარაჯს, ხელმწიფე იმპერატორი და პრეზიდენტი ეტლით გაემგზავრნენ სადგურზედ, სადაც იცდიდა საიმპერატორო მატარებელი, რომელშიაც ჩასხდნენ აგრეთვე საფრანგეთის მინისტრი დელკასსე, რუსეთის მინისტრები და ამალა. მატარებელზედ საუზმე მიირთვეს. მატარებელი ცარსკოე სელოში წავიდა ხელმწიფე და პრეზიდენტი მეორე საათზედ მივიდნენ ცარსკოე სელოში, ეტლში ჩაბრძანდნენ და დიდ სასახლეში წავიდნენ, სადაც მომზადებულია სადგომი პრეზიდენტისათვის. ხალხი აღტაცებით მიეგება მის უდიდებულესობასა და დიდ სტუმარს. ჩამოუარა რა საპატიო დარაჯს, ხელმწიფემ მიაცილა პრეზიდენტი სადგომამდე და ალექსანდრეს სასახლეში წაბრძანდა. რამდენისამე ხნის შემდეგ პრეზიდენტი ამ სასახლეში დედოფალ იმპერატრიცასთან იყო და წარუდგინა მის უდიდებულესობას თავისი ამალა. ცარსკოე სელოდგან პრეზიდენტი ამალითურთ გატჩინოში წავიდა. როდესაც საიმპერატორო მატარებელი მოვიდა მარსელეზა გაისმა. პრეზიდენტმა ჩამოუარა საპატიო დარაჯს, მერე სასახლეში წავიდა. დედოფალ იმპერატრიცის მარიამ თეოდორესთან ყოფნის შემდეგ პრეზიდენტი ცარსკოე სელოშივე დაბრუნდა.

მოგებათა ტირაჟი.

სახელმწიფო სათავად-აზნაურო მე-25 ტირაჟის დროს 1 მაისს მოგებანი ჰხვდა შემდეგ ბილეთებს:

№№ სერიები.	№№ ბილეთები.	მოგება.	№№ სერიები.	№№ ბილეთები.	მოგება.
1,567	18	200,000	14,602	3	1000
2,289	12	75,000	1,851	26	1000
11,719	49	40,000	12,667	22	1000
10,679	44	25,000	8,269	25	1000
15,859	1	10,000	7,087	4	1000
15,568	27	10,000	14,574	3	1000
7,724	7	10,000	1,605	4	1000
10,064	46	8,000	155	38	1000
11,270	16	8,000	4.816	36	1000
9,342	5	8,000	880	31	1000
7,853	28	8,000	14,410	14	1000
1,655	28	8,000	10,523	12	1000
6,625	45	5,000	1,245	12	1000
15,830	23	5,000	13,753	14	1000
13,646	21	5,000	2,087	2	1000
11,668	6	5,000	4,422	39	1000
8,668	49	5,000	5,247	48	1000
5,334	17	5,000	2,475	29	1000
14,564	37	5,000	13,657	29	1000
5,732	41	5,000	1,034	42	1000

ხუთას მანეთიანი

№№ ბილეთები.	№№ სერიები.	№№ ბილეთები.	№№ სერიები.	№№ ბილეთები.	№№ სერიები.
1	8,681	19	13,774	34	3,332
1	6,861	19	6,716	35	9,519
1	1,448	19	9,629	35	1,544
1	11,761	19	2,275	35	13,485
1	909	19	9,909	35	7,952
1	6,229	20	14,745	35	15,757
1	14,851	20	7,870	35	6,249
1	8,825	20	4,528	35	9,503
1	656	20	11,776	35	14,401
2	12,483	20	11,675	36	6,18
2	13,274	20	10,467	36	13,372
2	1,860	20	15,965	36	5,018
2	4,556	20	7,354	36	8,480
2	11,495	21	13,999	36	460
3	2,273	21	183	36	8,174
3	11,885	21	5,378	36	11,359
3	6,080	21	13,493	36	13,754
3	15,242	22	3,707	36	3,326
3	7,264	22	13,286	36	10,360
4	8,858	23	13,303	37	11,530
4	713	23	7,293	37	4,666
4	10,150	23	9,364	37	14,358
4	1,157	23	12,713	37	4,900
5	6,092	23	9,662	37	9,299
5	5,230	23	12,423	37	8,351
5	818	23	8,129	38	2,562
5	14,062	24	9,648	38	7,226
5	5,539	24	2,730	38	3,788
5	13,035	24	10,384	38	1,570
5	13,682	24	13,715	39	4,959
6	12,747	24	2,234	39	10,708
6	13,301	24	3,915	30	9,423
6	8,164	24	13,666	39	10,964
6	15,912	24	15,242	39	2,882
6	15,751	24	9,149	39	2,426
7	3,281	24	15,146	39	14,230
7	5,856	24	1,662	40	14,800
7	14,183	25	1,995	40	3,732
7	13,586	25	9,670	41	11,070
7	1,954	25	7,689	41	1,609
8	5,592	26	2,301	41	8,768
8	1,024	.26	8,992	41	12,406
8	9,356	26	12,550	41	976
8	12,262	26	2,965	42	14,382
8	6,645	26	3,535	42	10,365
9	5,556	27	9,484	42	7,622
9	57	27	13,885	42	10,840
10	2,477	28	9,807	42	10,095
10	13,627	28	629	42	1,526
10	3,088	28	1,981	43	10,569
10	6,777	28	15,366	43	3,120
10	15,656	28	4,990	43	4,251
11	15,404	29	5,470	43	9,244
11	598	29	9,118	44	8,024
11	6,000	29	13,522	44	13,150
11	10,462	30	1,461	44	8,307
12	9,900	30	11,151	44	12.536
12	12,004	31	11,134	44	13,492
13	5,871	31	3,786	45	8,275
13	5,331	31	14,661	45	3,269
13	5,794	31	6,721	45	9,850
13	11,334	31	1,710	45	13,342
14	9,544	31	9,190	45	3,371
14	4,532	31	8,161	46	1,011
14	14,408	32	4,950	46	11,308
14	7,925	32	8,103	46	4,805
14	9,395	32	2,813	46	1,351
15	4,549	32	11,067	47	13,921
15	9,240	32	6,122	47	4,867
15	4,107	32	2,494	47	7,792
15	12,999	32	5,882	47	3,318
15	12,856	32	4,467	47	15,167
16	8,861	32	9,267	47	9,139
16	1,874	32	18	48	7,137
16	1,208	32	13,524	48	8,209
16	4,145	33	12,145	49	15,166
17	9,811	33	4,421	49	5,842
17	2,263	33	3,946	49	12,20[illegible]
17	5,916	33	2,276	49	7,94[illegible]
17	13,489	33	2,874	49	3,268
17	2,238	33	5,694	49	11,817
17	8,073	33	7,340	50	8,083
18	12,456	33	9,787	50	6,028
18	4,752	33	7,430	50	14,109
18	4,983	33	8,456	50	43
18	15,173	34	9,842		
19	1,883	34	15,906		

№№ იმ სერიებისა, რომლებიც ტირაჟში გამოვიდნენ.

5,623, 2,223, 691, 2,787, 6,726, 14,467, 10,851, 13,115, 7,107, 302, 6,289, 1,109, 11,157, 9,579, 12,609, 2,524, 6,761, 13,108, 12,622, 9,480, 7,093, 7,218, 2,364, 9,526, 8,240, 5,364, 2,206, 2,252, 4,395, 15,440, 7,025, 326, 4,451, 7,376, 6,627, 4,342, 15,244, 14,510, 2,654, 6,426, 3,124, 7,076, 13,468, 8,363, 2,712, 12,223, 11,198, 14,331, 10,471, 547, 1,659, 3,356, 15,538, 1,556, 2,792, 9,145, 11,082, 3, 79, 70, 14,394, 8,280, 3,834, 8,166, 884, 8,524, 14,922, 14,185, 2,893, 13,840, 9,304, 8,189, 9,987 1,753, 12,587, 1,034. 9,325, 3,146, 7,147, 3,230, 13,773, 2,029, 7,856, 13,788, 7,955, 14,345, 13,717, 8,765, 1,799, 2,926, 1,494, 7,123, 2,352, 9,365, 14,226, 6,555, 11,658, 14,014, 13,868, 12,671, 8,740, 283, 6,376, 13,642, 9,561, 13,934, 3,030, 13,946, 7,560, 7,153, 5,087, 4,335, 2,932, 5,179, 12,322, 5,348, 9,668, 14,413, 9,080, 2,517, 14,382, 545, 3,246, 4,793, 5,488, 12,413, 4,294, 479, 5,916, 11,831, 3,150, 129 14,120, 12,083, 123, 12,816, 7,567, 284, 2,062, 3,485, 7,903, 7,948, 15,020, 5,921, 10,158, 8,764, 11,379.

პეტერბურგის ბირჟა, 3 მაისი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94,20
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,90
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	—
ბირჟის დისკონტი	4½—6½%
4% სახელმწიფო რენტა	96¾ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	98¾ მყიდ.
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475½ გაყ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	364 მყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	294¾ წვ გაყ.
4½% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	88⅝ გაყ.
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა.	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	89¾ გაყ.
4½% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
ე პპი ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	1,3000გაყ.
აქციები ,,	—
,, კასპიის ამხანაგობისა.	—
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	438 წვ. გაყ.
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ.	162 “
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების გამგეობა ამით აცხადებს, რომ ამა წლის **მაისის 19 დღესა**, დილის ათ საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში დანიშნულია საზოგადოების წევრთა წლიური

საზოგადო კრება

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების 1901 წლის მოქმედებისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1902 წლისათვის.

4, კერძო მოხსენებანი.

5, არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა ნაცვლად ბ-ნ ი. გომართელისა, რომელმაც წევრობას თავი დაანება

და 6 არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა.

(3—უ.—1)

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იყიდება ორი ახლად დაბეჭდილი წიგნი:

ყოველის მხრიდან

ეტიუდი სოფლის ცხოვრებიდგან არბოლელისა ფასი 10 კ.

და

მოთხრობანი

დავ. კლდიაშვილისა ფასი 30 კ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 мая 1902 г. Типографія, «Гутенбергъ» (кн. Гр. Н. Діасамидзе), Дворцовая, д. Груз. Дворянства, დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.